

27

ფასი 25 კაკ.



№ 10

ფელიწადი იმერეთი.

# სსოპრემა

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. † ლადო დარჩაშვილი. 2. † ელენე ნიკოლოზის ასული ხლეგნიკოვისა, ვლ. ემუხვარისა. 3. სიმ-  
ღერა ბედნიერებისა, ლექსი, ობოლი მუშისა. 4. ჩემი დღიურიდან, „ვალდოსი“. 5. ბუნების სიმღონია,  
ლექსი, ვ. სოფლიშვილისა. 6. შემოდგომის ფოთლებს, დ. თურდოსპირელისა. 7. \* \* \* ლექსი ხ. ვარდოშვი-  
ლისა. 8. მხოლოდ წარსული, თავთეთრისა. 9. ჩემი ნავი, ლექსი, გ. ალისა. 10. წაბლიას ჭირისუფალნი,  
მინა რაჭველისა. 11. მას, ლექსი, ა. ხაბულიანისა. 12. შურის ძიების სხვერპლნი, შემდეგი, გ. ებრალიძე-  
სა. 13. კრიტიკა, ხომლეღისა. 14. ილია ჭავჭავაძე და ილია ხონელი, ლ. ბანტაძისა. 15. მოგზაურობა  
რაჭა-ლეჩხუმში, ამბერისა. 16. ქართული პრესა. 17. აკაკის ბიბლიოგრაფია. 18. დგვ. აკ. ჩხენკელის სიტ-  
ყვა. 19. ძველი გზით, იმავ თემაზე, მასწ. ს-სა. 20. რას ნიშნავს ეს? დეკ. მიხეილ სხირტლაძისა. 21. წე-  
რილი „სახალხო ფურცლის“ რედაქციისადმი.

1 ივნისი 1916 წ.

ქ უ თ ა ი ს ი

სტამბა „ქობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

# მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

## „**სსოპრმპა-ზე**“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ელირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), გორში—ალექსანდრე რამანიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიიაში—მინა კოპალეიშვილთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში—სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან და პეტროგრადში—ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

## „**მეგობარი**“

### მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის.

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან., სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს 2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტანონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიათ

**გ. მაისაშვილის ნაწერების კრებულის.**

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## ლადო დარჩიაშვილი.

ღებულების მახლობლათ, სოფელ პატარა შობაში, 7 მაისს, კუქის ავანთყოფობით გარდაიცვალა ვლადიმერ ივანეს ძე დარჩიაშვილი, რომელიც იქვე, ქრისტიანული წესით, ახლო მეგობრებს და ნაცნობებს დაუსაფლავებიათ.

ლადო დარჩიაშვილის სახით ქართველმა დემოკრატებმა უნაგარო, თავგანწირული, იდეური მებძოლი დაკარგა. განსვენებული მთელი თვისი არსებით მუშა ხალხის ინტერესების და უფლების საქმეს ემსახურებოდა. იგი პატარაობიდანვე

ხალხის

წრეში ტრიალობდა; დაბალი ხალხის ჭირ-ვარამი მისი საკუთარი გაჭირება იყო, დემოკრატიის სულისკვეთება მისი საკუთარი სულისკვეთება და განსვენებული მთელი თვისი გმობით სოციალისტურ სოფლმხედველობას იზიარებდა. შემდეგში, ლადო დარჩიაშვილი ზოგიერთ საკითხების გაშუქებაში, თავის იდეურ ამხანაგებს სავსებით აღარ ემხრობოდა, მათ მარქსისტულ შეხედულებას თანასწორათ არ იზიარებდა, განსვენებული. საზღვარგარეთ — ბელგიაში — ბრიუსელის უნივერსიტეტში იურიდიულ-ეკონომიურ მეცნიერებას სწავლობდა. იგი ცნობილ პროფესორის, სოციალისტის ვანდერველდეს მოწაფე-სტუდენტი იყო. ასეთ პროფესორთან განსვენებული ხანგრძლივით მუშაობდა, მისი ხელმძღვანელობით თითქმის, 6 — 7 წლის გამავლობაში, ეცნობოდა სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებას, პროლეტარიატის მსოფლმხედველობას.

ვლადიმერ ივანეს ძე დარჩიაშვილი დაიბადა 1872 წელს, სოფელ ანაგაში (სიღნაღის მაზრა). იგი სოფლის დარბი ღვდღის შვილი იყო და პატარაობიდანვე მოყოლებული სავალაო

სასწავლებლამდი დაბალ წრის ხალხში ტრიალობდა. რვა წლის ყმაწვილი ლადო თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც მან პირველ შეგირდათ დაამთავრა. კურსის დამთავრების შემდეგ, იგი თფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, საცა მან ექვსი წელიწადი დაყო. სემინარის მოწინავე უფროსი კლასები იმ დროს უმცროს შეგირდათ შორის წრეებს აწყობდა და უფროსი კლასების შეგირდების ხელმძღვანელობით მოწაფენი სხვადასხვა წიგნებს კითხულობდენ და ვითარდებოდენ...

ვლადიმერ დარჩიაშვილიც ერთ ასეთ ხელმძღვანელთაგანი იყო. მას ყავდა მესამე და მეოთხე კლასიანებიდან შემდგარი წრე, რომელიც დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით პისარე-დობროლიუბოვის კრიტიკულ ნაწარმოებს ეცნობოდენ. დასახელებულ წრეში განსვენებულის ინიციატივით სოციალ-ეკონომიურ შინაარსის წიგნებსაც კითხულობდენ. სემინარიის მთავრობამ ექვი შეიტანა ლადოს ასეთ მოქმედებაში და მას სასტიკი თვალ-ყურის დევნა დაუწყეს... ერთ-ერთმა ზედამხედველმა, ერთ საღამოს, გაჩხრიკა ლადოს ბინა და მის ოთახში იპოვა, თუ არა ვცდები, პისარევის წიგნი, რომლის გულისთვისაც იგი მეექვსე კლასიდან, დიდმარხვის კვირეში სემინარიიდან დაითხოვეს. ამის შემდეგ, იგი დროებით სოფელში ბრუნდება და იქ სახალხო განათლების საქმეს ეწეოდა. მისი თაოსნობით და მისი მონაწილეობით იმართებოდა წარმოდგენები, ზაფხულობით იგი ადგენდა მოსწავლეთა წრეებს და თანამედროე შინაარსის წიგნებს უკითხავდა. ამავე დროს, ლადო სერიოზულათ ემზადებოდა და ფრანგულ ენასაც სწავლობდა. 1892 წელს, თფილისში ყოფნის დროს, ლადო, ნაცნობების მეოხებით, ჩვენ ცნობილ მწერალს ეგნატე ნინოშვილს ეცნობა, რომელსაც დიდი გავლენა ქონდა იმაზე. 1894 წელს ლადო დარჩიაშვილი დაესწრო ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებას,



სადაც გძნობიარე სიტყვაც წარმოთქვა და დამსწრეებზე დიდი ჩაბეჭდილებაც მოახდინა.

1898 წელს\*) იგი გაემგზავრა საზღვარ-გარეთ -- ბელგიაში და ბრიუსელის უნივერსიტეტში შევიდა უმაღლეს სწავლის მისაღებათ. მან იქ 5-6 წელიწადი დაყო და უნივერსიტეტი დაამთავრა. მიიღო იურიდიულ ეკონომიურ მეცნიერების დოკტორის დიპლომი. ბელგიაში ყოფნის დროს, ის ხშირათ ათავსებდა „კვალში“ წერილებს სხვადასხვა სოციალურ შინაარსის -- განსაკუთრებით კი, იქაურ მუშათა კლასის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებიდან.

შემდეგ -- 1905 წელს, იგი სამშობლოში ბრუნდება და აქ იწყებს მუშაობას. იგი თანამშრომლობდა გაზ. „სხივიდან“ მოყოლებული თითქმის ყველა დღიურ გაზეთებში. შემდეგში, იგი იყო გაზეთ „სიმართლის“ რედაქტორი, რის გულისთვისაც დააპატიმრეს და სამართალშიაც მისცეს. 1906 წელს ხელმეორეთ დააპატიმრეს და თფილისის საგენერალ-გუბერნატორის საზღვრებიდან გააძევეს. მარა ის ასეთ მდგომარეობას ვერ ურიგდება და მოდის ისევ თფილისში ნებადაურთველათ და განაგძობს ჩვენს პრესაში მუდმივ თავდადებულ თანამშრომლობას. ამ ხნის განმავლობაში, ლადო ერთ-ერთი რედაქტორთაგანი იყო იმ მრავალ გაზეთებისა, რომელსაც უძროოთ ესპობოდა სიცოცხლე. შემდეგ, ლადომ რამდენიმე სხვა პირთან ერთად გამოსცა „ალიონი“, სადაც განსაკუთრებით ნაციონალურ კითხვას არკვევდა. იგი ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომიის დიდი მოტრფილვე შეიქნა.

როცა სამხედრო წესები მოახსნა, მას უფლება მიეცა თფილისში ლეგალურათ დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ, მან დიდი წვალეებით და სხვათა დახმარებით მოახერხა ქუთაისის ერთ-ერთ გიმნაზიაში გერმანული ენის გაკვეთილები ეშოვა. რო გერმანიულ ენაში უფრო კარგათ დახლოვნებულიყო, იგი ომის დაწყებამდე საზაფხულოთ გერმანიაში გაემგზავრა. მარა ამ დროს საერთაშორისო ომმა იფეთქა და გერმანიის მთავრობამ ის, როგორც

პირველ ხარისხის მოლაშქრე, სამხედრო ტყვეთ გამოაცხადა. მთელი ორი წლის განმავლობაში იგი ყოველგვარ შევიწროებას იტანდა და, ბოლოს, კუჭის ავთამყოფობამ ეს შეენიერი ადამიანი სამუდამოთ მოტაცა ქართველ მშრომელ კლასს.

† მლენი ნიკოლოზის ასული ხლემნიკოვისა.

2 იენისს, ქუთაისის ქალაქის სასაფლაოზე მიწას მიიბარეს ადამიანი, რომლის მსგავსიც იშვიათად იბადება საზოგადოებაში, -- ელენე ხლემნიკოვისა. იგი იყო პეტროგრადის სამხედრო მედიკურ აკადემიის პროფესორის, პეტრე ალექსის ძის ხლემნიკოვის ქვრივი.

სამწუხაროთ არ ვიცო, რომელ წელს დაიბადა ეს ადამიანი. მის დოკუმენტში, რომლის გაცნობა მე შემეძლო, ეს არც-კი ჩანს. მარა განსვენებულისგან მე ვამიგონია, მას რუსეთის სახელგათქმული პოეტო -- პუშკინი ახსოვდა. აქიდან ჩანს, რო მთელი მე-XIX საუკუნის ისტორიის საინტერესო მომენტებმა მის თვალწინ გაიარა... თვით ის, რითაც შეეძლო, დახმარებას უწყევდა რუსეთის ინტელიგენციის მოძრაობას და ეს იქიდანც ჩანს, რო ჩამოვიდა თუ არა ქუთაისს 70-იან წლების მიწურულში, ის მაშინვე გაჩხრიკეს.

განსვენებულს მეგობრული კავშირი ქონდა რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან. ჩერნიშევსკიწა წრე მის სახლში იკრიბებოდა, ჩვენი საუკეთესო თანამემამულეც, ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე ძალიან დაახლოვებული იყო მასთან და, როდესაც ის ერთი წლის პეტროგრადში დატუსაღების შემდეგ გაათავისუფლეს, მან პირველ ყოვლისა ხლემნიკოვის ოჯახი ინახულა.

განსვენებული დიდი მეგობარი იყო, სხვათა შორის, პროფისორ სეჩენოვის. მან იმას ოვისა გათქმული წიგნი „рефлексы головного мозга“ ფრანგულ ენაზე გადაუთარგმნა პარიზის აკადემიისთვის წარსადგენათ. ამ რამდენიმე თვის წინათ, გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ს რედაქცია თხოვდა სეჩენოვის ყველა ნაცნობ-მეგობრებს მიეწოდებიათ მასალები სეჩენ-

\*) მე ამდროს დაახლოვებით გავიცანი იგი თელავში. ხომლელი.



ოვის შესახებ. განსვენებულმა მაშინთვე გადაწყვიტა დაეწერა მოგონებანი სეჩენოვზე. ამის გამო მან მოთხრა, ბევრი მაქვს სათქმელი, რომელიც ჯერ საზოგადოებამ არ იცისო. ჩემი მოგონება მეჩნიკოვის წერილის დამატება იქნებაო. მარა ავათყოფობამ და სიკვდილმა შეძლება არ მიცა, ეს განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

განსვენებული ათავსებდა წერილებს, განსაკუთრებით, ფრანგულიდან ნათარგმნებს რუსეთის სხვადასხვა ჟურნალში. ბევრი აქვს მათავსებული საბავშო ლიტერატურიდან ჟურნალ „Дѣтское Чтеніе“-ში. უკანასკნელ ხანებში მან დაწერა მოგონება ჩერნიშევსკის სამოქალაქო სიკვდილით დასჯის შესახებ და აგრეთვე იმ სამგლოვიარო ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოზე, რომელიც რუსეთის ინტელიგენციის სასიქადულო წარმომადგენლებმა გამართეს პოეტი მიხაილოვის სასარგებლოდ, რომელსაც კატორღაში გზავნიდნენ. ეს შემუარები დიბეჭდა შარშან ჟურნალ „განთიადის“ პირველ ნუმერში.

განსვენებული უკანასკნელ ხანებამდე განაგობდა ლიტერატურულ მუშაობას. მან გადათარგმნა ფრანგულ ჟურნალიდან შაურეს წერილი მიქელ ანჯელო და ვიტორიაკოლონას შესახებ, წერილი დიდროზე და ბევრი სხვა, რომელიც ამ სტიქიონების დამწერთან ინახება.\*)

განსვენებული ძალიან გატაცებული იყო

\*) ეს წერილები შარშან ჩვენ ჟურნალში უნდა დასტამბულიყო. მარა, უსახსრობისა გამო, ჟურნალი „ცხოვრება“ ისე პატარა ფორმატისაა, რომ თავისუფლათ

სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციის მოღვაწეობით. ამ ერთი თავის წინათ, როდესაც მე ის ვინახულე, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ავით იყო, და ძლივსღა ახერხებდა ლაპარაკს, მან პირველათ ყოველისა მკითხა: „ჩხეიძე, როგორ არისო? განსვენებულის ხელში ბევრი ჩვენი თანამემამულე აღიზარდა, ყველას მათგან უნერგავდა კეთილშობილურ პრინციპებს, ყველასთვის, ვინც მასთან დაახლოვებული იყო, ის წარმოდგენდა ცოცხალ წიგნს, დაუშრეტელ წყაროს ცოდნისას. მან ბევრი, ძლიერ ბევრი ჩაიტანა საფლავში, რაც, საზოგადოების წინაშე გამოშხურებული, საგოგმანებელ მარგალიტათ შეიქნებოდა. სიკვდილის წინ ამბობდა: სასიამოვნოა, რომ ისე ვესალმები წუთისოფელს, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები თავზე მადგანანო... სწორეთ მათთვის საქმელოა მისი სამუდამოთ დაკარგვა. მარა ისინი თავის გულის საუკეთესო ნაწილში შეინახვენ ძვირფასს ხსოვნას მათი კეთილშობილური მისწავებლისას.

ვლ. ემუხვარი.

ვერ მივტრიალ-მოვტრიალეებულვართ და, სამწუხაროთ, ვერ დავსტამბეთ არა თუ ეს წერილები, ვერ დაისტამბა შარშან ხუთი „შინაური მიმოხილვა“, სამი ფელეტონი, ახლო აღმოსავლეთის გაგებება, ბევრი წერილები, რომელსაც დიდი დღიური ინტერესი ქონდა. ომის მატანიის ბეჭდვა ხო სრულიათ შევწყვიტეთ. წრეულს, უფრო გაცილებით მეტი მასალაა თავმოყრილი და ადგილი-კი არსადა.

რედ.

## სიმღერა ბედნიერებისა.

ელვის ფთებით დავნაფარდობ, -დავჭრი, დავჭრი სოფლიოში, მიწის ბურთსა გარს ვეღლები... შევნებას ვჭედ სტიქიონში! — ვბიბლავე, ვბიბლავე ადამიანს, თან ვიტაცებ იმის სულსა, ჩემი ნდომით აღვზნებულსა, ცეცხლს ვუკიდებ კაცის გულსა!..

ვეღარ ათფობს ადამიანს უჩემობით მზის სხივები, თვარე მისთვის არ ანათებს... ჩამჭრალია ვარსკვლავები; გაზაფხული არ კეკლუცობს, სუნნელებას კარგავს ვარდი, ბალი მისთვის აღარ ბაღობს-გჩვენება ეკალ-ბარდი.

მომღვეს! მომღვეს! — ანადგურებს კაცი წინ, რაც ეღობება, — მასა სწირავს-გულს უგმირავს, შეიღოს თავისას ეომება;

სისხლის ოფლს ღვრის, მიწას ებძვის, იმორჩილებს ხან ბუნებას,  
 კაცს იმონებს, კაცს ყიდულობს... არ თაკილობს სხვის მოწებას!  
 მომდევს!.. მარა ისევ მივქრი, მივქრი აღარ ვეკარები,  
 ერთი წუთით ახლოს მოსულს, მყისვე თვალთვან ვეფარები!  
 ვერ განმიცდის ადამის ძე, რაც გინდ ბევრი სისხლი ღვაროს,  
 სანამ ჩაგრულთ კენესა ზარავს, შექვეითინებს თვით სამყაროს!—  
 სანამ ძალა, ტლანქი ძალა უსამართლოს ჰედს სამართალს,  
 სანამ, ფეხში ხუნდ გაყრილსა, შეკრული აქვს პირი მართალს!  
 ვერ შემიპყრობს კაცი ვერა,-სულ იქნება წამებული,  
 სანამ ყველას თანასწორათ არ გამსჭვალავს სიყვარული!—  
 მხოლოთ მაშინ, მხოლოთ მაშინ ჩავინთქები კაცის სულში,  
 წუთისოფელს ვასამოთხებ, ისარს ვტყუორცნი სევდას გულში!  
 და მგოსანიც, და მგოსანიც მეტათ აღარ იქვეითინებს,  
 შვების ჰანგზე მორთავს ფანდურს, ააქედრებს გძნობით სიმებს.

ობოლი მუშა.

## ჩემი დღიურიდან.

დღეს არაჩვეულებრივი დღეა... ღენა ჩემთან მოვიდა, პანსიონიდან გამოიხიზნა და მი-  
 თხრა. სალამოს ბალთან დამხვდით. ის ილიმე  
 ბოდა, იცინოდა, რაღაც უხაროდა და თან  
 იმეორებდა:

— არჩილ, უთუოდ სალამოს დამხვდი,  
 არ დაიგვიანო, სოფელში წავიდეთ, გავისეირ-  
 ნოთ!

ღმერთო ჩემო, როგორ ამირია აზრები  
 ამ ამბავმა, როგორ დამაფიქრა ღენას მომღი-  
 ნარმა სახემ და გულს დააწყებინა ცემა გაჩქა-  
 რებით ისე, როგორც გაჩქარებით იცის კის-  
 კასი ჩანჩქარიდან მოწყვეტილმა ობოლმა ტალ-  
 ღამ.

ღენა, ჩემო ღენა, შევნიერო ღენა,  
 მართლა დაგხვდებ და სასეირნოთ გავემგზავ-  
 როთ? არა, შენ სტყუი, ღენა. შენ გინდა ახ-  
 ლა სიხარულის აღმაფრენა გამოიწვიო ჩემში,  
 გინდა დაინახო, როგორ იმოქმედებს ჩემზე  
 შენი სურვილი, გინდა მომწვეტო დღეს ჩემ  
 საქმეს და დამატყვევო შენ კლანჭებში? აკი  
 მიგიხვდი ეშმაკობას, შეგატყვე, თუ რათა  
 გსურს ჩემი წყევანა. მე შევამჩნიე შენ ღიმილ-  
 ში დამკინავი კილო, შენ, შენ გინდა მალო-  
 დინო სალამოს და შემდეგ—კი, შებინდებისას

ჩამომიარო სხვა კავალრებით, დამახარბო შენი  
 მღგომარეობა და დამკინო? მიგიხვდი, მიგიხვ-  
 დი ეშმაკობას. არა. ვერ შემაცდენ მასეთი ღი-  
 მილით, დღეს ფეხსაც არ მოვიცვლი აქიდან  
 და, როცა, სალამოს, დანიშნულ ადგილას შენ  
 ჩავივლი კავალრებით და ამაყათ გაიხვდავ იქით,  
 სადაც მე უნდა დაგხვდე, შენ დაინახავ მხო-  
 ლოთ ცაცხვების ღანდს. მე—კი, მე—კი, არ-  
 ჩილ მწუხრიშვილი, იქ არ ვიქნები. მე გავიგე,  
 გავიგე შენი ეშმაკობა...

მაშინ მოიწყენს ღენა და ჩაფიქრდება.  
 აი, ახლაც თვალწინ მიდგია, თუ როგორ  
 უცქერის ის ცაცხვის ღანდებს, როგორ უნ-  
 და უთხრას თავის კავალერს ჩემზე, როგორ  
 უნდა დაიტრაბახოს. მარა ველარ მხედავს მე,  
 არ უმართლდება იმედები, იწყენს ის და ემ-  
 შვიდობება კავალერს.

მე გადავწყვიტე არ წავიდე ღენასთან, რათგანც  
 მე მიყვარს ის და მას—კი არა, არ ვიცი-კი რათ.  
 ამბობს, მუდამ პირველათ მეუბნება:—„არ  
 მიყვარხარ, მარა მეგობრობა-კი მინდა შენითა“.  
 მე არ მესმის მისი სიტყვები, ვერ გამირკვევია  
 იმათი აზრი, ვერ მომინახავს საზღვარი, სად  
 თავდება მეგობრობა და სად იწყება სიყვარუ-  
 ლი. ბაირონი ამბობს: „მეგობრობა იგივე სი-  
 ყვარულია, მხოლოთ მას ისეთი ფთები არ ას-  
 ხია, როგორც სიყვარულსო.“ მე ვიცი, ძალიან

კარგათ ვიცი, რო ჩემი სიყვარული ფთებია-  
ნი სიყვარულია, მუდამ დღე დამაფრენს, ის  
მოსვენებას არ მაძლევს, რაღაც გაურკვეველ  
სურათებს მიხატავს და ხან მაწამებს, უიმედო  
აზრებს მომგვრის, ხან-კი მანეტარებს, სიცოც-  
ხლით ავსებს ჩემს ნერვებს. ლენას სიყვარულს,  
აღბათ, ფთები არ ასხია, მას მხოლოდ უბრა-  
ლო მეგობრობა უნდა, ჩემთან ლაპარაკი, ბა-  
სი, მასლაათობა და სხვა არაფერი. სანამ ლენა  
მეგობრობაზე რამეს მეტყუადა, მე ვიცოდი,  
რა იყო მეგობრობა, მე ვარჩევდი სიყვარულს  
და მეგობრობას. მარა, რა წამს ჩემ გძნობას  
სიყვარული დაერქვა, ხოლო ლენას მეგობრო-  
ბა, მე ვედარ ვპოულობ საზღვარს, მე არ ვი-  
ცი, სად თავდება მეგობრობა და სად იწყება  
სიყვარული, მე ვერ გამირკვევია ეს ორი ცნე-  
ბა.. ჩემი მეგობრობა ფთებიანი მეგობრობაა,  
ლენასი-კი-ჩვეულებრივი. მე შემძლია ვიფრი-  
ნო, ხოლო ლენას-კი-არა...

არა, მე არ წავალ ლენასთან, მე არ დავხვდე-  
ბი მას ცაცხვებთან. როცა ის ჩამოივლის იქ და  
დანიხავს ცაცხვების ლანდს, შეკრთება, მო-  
აგონდება ჩემი სიყვარული და კავალრებს და-  
შორდება, შემდეგ, ჩაუფიქრდება, თუ რათ მი-  
ყვარს მე ის ასე გატაცებით და მეგობრობის  
ოცნებობას გაყვება...

ლენა, შევნიერი ლენა, რა კარგი იყო  
ის, როცა პანსიონიდან გამომიხმო, ხელი გა-  
მომაწოდა და მომნიბლელი ღიმილით მითხრა,  
წამჩურჩულა:

—არჩილ, არჩილ, დღეს საღამოს ცაც-  
ხვებთან დამხვდი, სოფელში წავიდეთ, გავისე-  
ირნოთ... არასოდეს, არასოდეს ლენა ასეთი  
კარგი არ მინახავს, ვარდის ფერ ტანსაცმელ  
ში ელვარებდა მისი ტანი და სახე მისი სით-  
ფოსგან დამთვრალ ვარდსა გავდა. ორი ნაწ-  
ნავათ დაყრილი თმები მოყვებოდნ ლერწამი-  
ვით ატყორცნილ ტანს და, ვით ვეცხლის სიმები,  
ჰაერში ციმციმებდნ. შავი, დიდრონი თვალები  
მიცქეროდნ, როგორც მშვიდ ღამეში შეუძლია  
გიცქიროს მიდვრათ მონეტიალე მგზავრს თვა-  
რის მომღიძარმა შუქმა... არასოდეს, არასოდეს  
ლენა ასეთი კარგი არ მინახავს და არასოდეს,

არასოდეს ის ჩემთან ასე მხიარული, მომღი-  
ძარი და დამტკბარი არ მოსულა...

მახსოვს, როდესაც ის პირველათ გავიცა-  
ნი, შევნიერი მეჩვენა. წვიმიანი დღე იყო და  
ნისლით მოფენილ არემარეში მინახებულ სა-  
ხეზე, როგორც დილის ნამი გადაუშლელ კო-  
კრებს, ეფრქვეოდა გაზაფხულის წვიმის ფიფქი..

მე მაშინ ვიცოდი მეგობრობა და სიყვარული  
მხოლოდ გამეგონა... პატარობიდანვე შევეჩვიე  
სიყვარულის ფურცლების კითხვას. როცა ბა-  
ვში ვიყავი, მაგონდება ერთი შევნიერი გაზა-  
ფხული. ბაღში დილაობით აღრიანა გავდი-  
ოდი. ის იყო მზე პირველ სხივებს გადმო-  
ტყორცნიდა სურამის მთებს, რო მე დაბუ-  
რულ ხეივანში, წიგნაკით ხელში დავდიოდი და,  
როცა კითხვას დავიწყებდი, მესმოდა ხის ფო-  
თლებიდან ღაპა ღუპით მომდინარე დილის ნა-  
მი. მახსოვს, ერთხელ ყაზბეგის „მამის მკვლელს“  
ვკითხულობდი და, როცა დავტორიოდი მაყვა-  
ლას უბედურ ხვედრს, ვამჩნევდი, რომ ხეების  
სწორ ტანს დილის ნამი ცრემლის მზგავსათ  
სერავდა და ფოთლებიდან ჩამოწრეტილ ნამე-  
ბით ჩემ ცრემლებთან ერთად წიგნის ფურცლე-  
ბი სველდებოდა. როცა ლენას პირველათ ასეთ  
ნისლიან ამინდში მივეყვებოდი და ზეციით მონა-  
წურ ნამებისგან მას თვალებში ცრემლებათ  
ადგებოდა ანკარა ფიფქი, მე ვამჩნევდი, რომ ეს  
ემზგავსებოდა შევნიერ ბაღში ღაპა-ღუპით მო-  
ნადენ დილის ცრემლებს...

აქ გაიღვიძა ახალმა გძნობამ და, როცა  
მოწყენილ დღის ნისლიან ბურუსში ვხედავდი  
ლენას სახეს, მისი ცრემლებით ავსილი თვა-  
ლები სიყვარულზე მებაასებოდა, თანაც მეგო-  
ბრობას მეფიციებოდა...

ლენა, ლენა, ჩემო კარგო ლენა, მე მა-  
ხსოვს შენი პირველი სიტყვები და შევნიერი  
ღიმილი... მე მაგონდება პირველი საღამო, რო-  
ცა, მოგზაურობის შემდეგ, შენ გინდოდა გე-  
თქვა მშვიდობით, მარა სიტყვებს ვერ ახერხე-  
ბდი და, ნაცვლათ განშორებისა, ღიმილით მე-  
ლაპარაკებოდი!...

მარა მე დავინახე ლენა სხვა ყმაწვილებ-  
თან და, როცა შემხედა, ისევე ძველებურათ გაი-



ლიმა. მაშინ დაიბადა ჩემში პირველი იქვი და, შემდეგ, შორიდან ვავცქეროდი.

დღეს-კი მოვიდა ჩემთან და სურს ისევ მეგობრობაზე შელაპარაკოს, ანდა მოიყვანოს თვისი ურიცხვი თაყვანისმცემელნი, ჩამოატაროს ცაცხვებთან, იქ, სადაც მე უნდა დავუცადო და ხელით აჩვენოს მათ ჩემზე, დაიტრაბახოს...

ჰა, შე მატყუარა და ფლიდო, ფლიდო და მატყუარა, ყველასთან მიდიხარ, ყველას უღიმებ, ყველას მეგობრობას ეფიცები და დღეს გინდა ჩემთან მოხვიდე, დამარწმუნო შენსიწმიდეში!... ხა... ხა... ხა... ვერ მამატყუებ, ვერა. მე დღეს პანსიონიდან არ გამოვალ, მე დღეს ვკითხულობ ჰიუგოს, პარიზის ლეთის-მშობლის ტაძარს, ჩაუჯდები ისევ ბაღში და ვიკითხავ. შენ გინდა, ლენა, დღეს მომაცდინო და დამცინო, შენ გინდა ჩემში სიყვარულის გძნობები აალიზინო და ცაცხვებთან ლოდინით ფიქრებში გახვიო ჩემი ისედაც შეწუხებული აზრები? მე გუშინ ჰიუგოს წიგნში ამოვიკითხე, თუ როგორ უყვარდა ტაძრის მნათე კავშირადს ციგნის ულამაზესი ქალი. თვით კავშირადსა ყოვლათ მახინჯი იყო, მარა უყვარდა მანც, ისე ძლიერათ, რო მე ცრემლებიც კი დავღვარე. მას არ შეეძლო გამოეთქვა თვისი სიყვარული, გულში იკლავდა მას, ჭკნებოდა და შხათ იყო თავი შეეწირა ამ ქალისთვის. შენც, შენც გინდა ასეთი სხვერპლი გავხდე შენი და, მერე, იტრაბახო გინდა?... არა, არ მოვალ მე შენთან, შენ გყავს თაყვანისმცემელნი და დაე, მათმა იაფმა მუსაიდმა გაგართოს. შენ შეგიძლია ათას ნაირათ გაიღიმო და ყველა გაახარო... არ წავალ მე ლენასთან, არა, მივუხვდი ეშმაკობას, მე ის ვერ დამცინებს, ვერა...

როცა ბაღის ერთ მიყრუებულ კუთხეში ჩაჯექი და ჰიუგოს წიგნი გადავშალე, პირველ სტიქონებში, ამოვიკითხე: „მოსიყვარულე ქალი მო-

რცხვია, როგორც იასამანი, სიტყვებს ვერ ბედავს, გძნობიარე გული ძგერს და კანკალებს, ხოლო ტუჩები ილიმებიან, თვალები-კი ნახათ დახრილი, თითქოს გელაპარაკებიან, თქვენ უნდა ამოიკითხოთ ქალის გძნობები—მისი ტუჩები სიყვარულის ზღაპრებს გეჩურჩულებიან“. მე გამახსენდა ისევ ლენა, მომავინადა მისი ღიმილი, წარმომიდგა ნახათ დახრილი თვალები და გულში კანკალი დაიწყო. ლენა, ლენა!.. ნუ თუ შენი ტუჩების მოძრაობა სიყვარულზე ჩურჩულებდა, ნუ თუ ღრმა თვალებში ნამებათ დაფრქვეული ციური ცრემლი იყო ცრემლები პირველი სიყვარულისა? ლენა, ჩემო ლენა, მე მოვდივარ ლენა შენ შესახვედრათ, მე გიციდი ცაცხვების ლანდს ქვეშ.

ორი დიდი მწერალი, ორი სოფლიო გენიოსი მყავს მოწმე, რო ლენას უყვარვარ. ბაირონი და ჰიუგო, ჰიუგო და ბაირონი! აბა, გაბედოს ვინმემ და მითხრას, რო ლენა ცფიერია, რომ ის მატყუარაა!... „მეგობრობა იგივე სიყვარულია, მხოლოდ მას ფთები არ ასხია“—ამბობს ბაირონი. მაშ, ლენას უყვარვარ, მარა არა ისე ძლიერათ, არა გატაცებით... შეიძლება, მხოლოდ ახლა იფუქქნება სიყვარული, შეიძლება, მხოლოდ ახლა ესმება მას ფთები? ბარტყებს ხო ჯერ ფთები დაეზღება და, მერე, იწყებენ ფრენას... მაშ, ლენასაც უყვარვარ, უყვარვარ ლენას... ჰიუგო-კი მიმოწმებს— „მისი ტუჩები სიყვარულის ზღაპრებს გეჩურჩულებიან.“ გაუმარჯვოს სიყვარულს, გაუმარჯვოს მეგობრობას! მე დღეს ლენასთან უნდა წავიდე, ჩემი სიყვარული ფთებიანია, ლენასი-კი არა. ის ახლა ისხამს ფთებს, მალე, სულ მალე ორივე ერთად ვიწყებთ ფრენას... გაუმარჯოს სიყვარულს, გაუმარჯოს მეგობრობას!..

«ვალიკო.»

(შემდეგი იქნება.)

### ბუნების სიფრთხილი.

მოგისმენით თქვენ მუსიკა იმდროს, როდესაც თვარის სხივები აოქროსფერებს ძირს არე-მარეს? გაგიგონით თქვენ ჰიმნები მაშინ, როდესაც

მთის სიო ნელი თმებს უფარცხნის კაშკაშა თვარეს?  
 ოჰ, რა ტკბილია, როს სიმები ბუნების გულზე,  
 სულ წყნარა, წყნარათ ჰაეროვნულს დაუკრავს ჰიმნებს ..  
 ხან გააგძელებს ფიანდაზა ხმებს უტკბეს სულზე,  
 ხან მინელდება, ნაწყვეტ ნაწყვეტს მიმოფენს რითმებს...  
 ხან შეჩერდება, საოცნებოს ძოაფრქვევს ღუმილს,  
 მთელი მიცამო მიწყნარდება და მისიფენებს...  
 სიჩუმის ღმერთი ფიანდაზათ გადაშლის ღუმლის  
 და სიწყნარეში ცა და მიწა ჰიმნს თხზავს, იგონებს.  
 აგერ, ბუჩქებში ტურფა ასული ცა-ხმელეთისა  
 მოყვება ღუღუნს, ყვავილების დანამავს ტუჩებს;  
 იქ სიო ნელი მობიბინე ყვავილეთისა  
 მთებს ჩამოუფლის, ფთებს ჩამოკრავს ქალაკის ბუჩქებს.  
 და, კვლავ აყვება ბუნებისა სიმთა წკრიალი  
 მთელი მუსიკა არმონიათ გარდაიქმნება...  
 ხასხას ფოთოლთა ნაზი რხევა, ნაზი შრიალი  
 მთელ ცა და მიწას ფიანდაზათ მოეფინება...  
 მოგისმენიათ თქვენ მუსიკა ბუნების, როცა  
 შუა ღამეში ოქროს თვარე გადაშლის სხვებს?  
 გაგიგონიათ თქვენ ჰიმნები, როს მალლა ზეცა,  
 დაბლა მიწის მკერდს გადებხვევა და კოცნის ტუჩებს?

მაშ, მოუსმინეთ, მოუსმინეთ მის სიმთა წკრიალს,  
 ყური დაუგდეთ საოცნებო ბუნების ჰიმნებს...  
 მთებს შეეკითხეთ, მთა აგისხნით ცხოვრების ტრიალს,  
 ბუნება მოგცემთ ცხოვრების ჩანგს, ცხოვრების სიმებს.  
 ვ. სოფლიშვილი.

ქ. ბაქო.

## შემოდგომის ფოთლებს.

ფოთლებო... შემოდგომის გაფითრებუ-  
 ლო ფოთლებო, რას დაწანწალებთ ტყუილ-  
 უბრალოთ... რას დაყურყუტებთ?..  
 სულ ერთია, ვერას გახთებით. ვეღარ  
 შეინარჩუნებთ სიკოცხლეს... ამაოა ყოველი  
 ცდა...  
 ამაოა ძახილი მზისადმი... სიკოცხლისადმი...  
 დღეს, თუ ხვალ ყველანი დაიხოცებით...  
 მოისპობით პირტუქსი ჯანღისგან...  
 აბა, შეხედეთ წეროებს...  
 ისინი მიფრინავენ თფილ ქვეყნებისკენ და  
 მაინც სევდიანათ ყოვიან... მაინც ნაღვლო-  
 ბენ... ეშინიათ: გაავზნებული ქარისგან უგზო-  
 უკვლოთ არ დაიხოცონ...

და, თუ წეროებს უბედითდებათ სასოება-  
 თქვენ რიღასი ნუგეში გაქვთ...  
 კმარა... კმარა ღალადისი მზისადმი...  
 დამშვიდდით.. დაშოშმინდით...  
 ასე... ასე, ძრიფანსო... ვარსკვლავებს, რას  
 უყურებთ?!  
 თქვენ და ისანი სხვა და სხვა ეტლზედა ხართ  
 დაბადებულნი... თქვენ მზის სხივებში ფარსაგათ  
 ჩახუტება ვერც-კა მოასწარიო, რომ ანაზდათ  
 შემოგებარათ ყვითელი ჩდილი სიკვდილისა...  
 ისინი-კი ათასი და ათიათასი წლე-  
 ბი კამკამებდენ და კვლავაც იკამკამებენ  
 უსრულებელ ჟამთა დენაში...  
 ქ. კრეფენცი. დ. თურღოსპირელი.  
 4, II, 1916 წ.

# მ ა ს.

თუ მიმიხმობდი, გიშრის თვალებზე  
 მეც ამოვკრეფდი სევდის ნიაღვარს;  
 მეც გიმღერებდი... და მთის წვერვალზე,  
 მეც ავაფრენდი, ვით სუბუქ ნიაგს...

თვალის წარმტაცათ გადაგიშლიდი,  
 ჩემ წარსულს, აწმყოს, ჩემთვის გულსაკლავს,  
 მეფათ დაგვამდი ქვეყნის კვარცხლ-ბეკზე,  
 ხელში მოგცემდი ბძოლის იარაღს.  
 მარა იარაღს... ქალის ცრემლს-ვერა,  
 მე იმით არ მწამს შურის ძიება;  
 ეს იქნებოდა ძირს ჩემი რისხვა,  
 და მალლა ციდან მეხი და გრგვინვა...

ა. ხაბულიანი.

## მხოლოდ წარსული

1.

დიდი ხანი არ არი მას შემდეგ, რაც, სა-  
 ქმეების გამო, ერთ დიდ ქალაქში მოვხვდი.  
 კარგა ხანს დავრჩი იქ. თავისუფალი დრო ბე-  
 ვრი მქონდა ღ ამდროს ქალაქის და მისი  
 ცხოვრების გაცნობას ვანდომებდი.

უნახავი და დაუთვალეიერებელი აღარა  
 დამრჩენიარა. სასტუმროს პატრონის რჩევით,  
 ადგილობრივი თავშესაფარის დათვალეიერებაც  
 მოვიწადინე. მივედი დაწესებულ დროზე.

ნათესავი, ან მეგობარი გყავთ ვინმე  
 აქ?—მკითხა მეკარემ.—არა. მე მხოლოდ აქა-  
 ურების ნახვა მინდა.

—ძლიერ კარგი დრო ავირჩევიათ, მითხ-  
 რა მანვე-ყველანი ბაღში არიან... ყველას ინა-  
 ხულებთ, მხოლოდ ეცადეთ, არ შეამჩნევით  
 შეფარებულებს, რო მათ სანახავათ მოდით...  
 დაჯინებით ნუ შეაჩერდებით მათ, კითხვით ნუ-  
 რაფერს კითხავთ... ეცადეთ, ისე დაიჭიროთ  
 თავი, რო ვითომ ისინი სრულებითაც არ გა-  
 ინტერესებენ და თქვენ მხოლოდ ბაღის სანა-  
 ხავათ მოდით...

—როგორ?!

—ძლიერ თავმოყვარენი არიან, ნერვებიც ძა-  
 ლზე აშლილი აქვთ.. მარტოობის მეტს არა-

ფერს იტანენ. ბალი მოფენილი იყო „წარსუ-  
 ლის“ ხალხით.

სიჩუმე არაფრით არ ირღვეოდა.

ერთი ძალზე მოხუცებული ქალი საქა-  
 ნავო სავარძელში იჯდა, გაშტერებული ერთ  
 წერტილს მიჩერებოდა, უნებურათ გასუტებულს  
 ხელები, სახეც—დაბიჟინებული უჩანდა...

—იცით, ეს მოხუცებული ქალი ვინ არი?  
 ჩურჩულით შემეკითხა ერთი ჩემი თანამგზა-  
 ვრთავანი და თან მითხრა: ეს ცნობილი მსა-  
 ხიობი ქალი №... არი. გავიგონიათ?

ნუთუ ის არი?—გავიკვირე მე. მე ის არა თუ  
 გამიგინია, მინახავს კიდევ და მომაგონდა ის  
 დრო, როდესაც ამ ქალის სახელი მთელს რუ-  
 სეთში მოფენილი იყო, მას თაყვანს ცემდენ  
 როგორც მსახიობს და შვენიერების მინუშს,  
 აღმერთებდენ.. მისი რომელიმე ქალაქში მი-  
 სვლა დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას იწვევდა,  
 ყველა მაზე ლაპარაკობდა. ყველგან მის ქცე-  
 ვას და მოქმედებაზე საუბრობდენ. როდესაც  
 ჩვენ ქალაქში დააპირა მოსვლა, ამაზე ოთხი-  
 ხუთი თვით ადრე დაიწყეს ლაპარაკი და, რო-  
 დესაც წავიდა, მაზე საუბარი და მოგონება  
 თითქმის ნახევარ წელიწადს არ შეწყვეტი-  
 ლა.

სცენაზე ის შეუდარებელი და უზომოდ  
 მომხიბლავი იყო... იყო, დიას, იყო იმ დროს...  
 დღეს?

—ეს-კი არ იცით, ვინ არი?—მიმითითა  
 მანვე ერთს, იქვე მდგომ სანთელივით ჩამომ-  
 დნარ, მაღალის ტანის და გძელ თმიან მო-  
 ხუცზე—ეს მწერალი ა... არის.. იცით? ახლა  
 აქ არი, სრულებით არაფერს არ ლაპარაკობს,  
 გაშტერებულია, მხოლოდ ხანდის-ხან იღიმება  
 ხოლმე... —ეს-კი—მაჩვენა მანვე-სახელოვანი  
 ვეჟილი X... არი, ხო გავიგონიათ?..

—გამიგონია და ვიცი კიდევ ვინ, ან რა  
 იყო ვეჟილი X... გემების დაჯახების პროცე-  
 სზე მისგან წარმოთქმულმა სიტყვამ მთელი  
 ევროპის ყურათღება მიიპყრო, როგორც სიბ-  
 ძნის და სიშვენიერის მინუშებს, ისე იხსენიე-  
 ბენ დღესაც. —ამ ვეჟილს სულ სხვა ჩვეულე-  
 ბა აქვს: ხანდახან წამოდგება ზეზე ღ ვილაცას



ეუბნება: ბატონო მოსამართლეებო, ბატონო მოსამართლეებო!...

—ერთი ეს მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ღმერთი მდგომარეობაზე, ან მომავალზე ამბობს რამეს ეს ხალხი?

ესენი მსჯელობენ, ბაასობენ? შევეკითხე მე.

—სრულებითაც არა! მაგათი სახსენებელი ზე მისაგონარი მხოლოდ მათივე წარსულია, იმას მხოლოდ-ღა ეტრფიან, ის მხოლოდ აფთოვანებს მათ. აწმყოზე ზე, განსაკუთრებით, მომავალზე სრულებით არაფერს არ იტყვიან, არც-კი ახსენებენ მას.

—გასაკვირველიც არ არის... ამათ ხო ყველაფერი წარსულში აქვთ; ამათ ღმერთს უკვე მოსწრება ბინდი ზე ამათი მზეც ჩაწურულია, ვიფიქრე მე ზე ნაღვლით სავსე მოვშორდი იქაურობას.

2.

გარემოება მიიძღვრება თავისუფალი დრო მოძრაობა-სიარულში ვატარო ზე ამისთვის ვარ ხშირი სტუმარი საზოგადო-სასეირნო ადგილისა, რომელიც ასე ანდამატივით იზიდავს ყველას ზე მათ რიცხვში, მეც. აქ ხშირათ ვუვლი მე დაუსრულებელ წრეს ზე ამით, მგონია, ვასრულებ ჩემს აუცილებელ მოთხოვნებს და მასთან ერთვარ სიამოვნებასაც ვღებულობ... აქ, განსაკუთრებით, ერთი ადგილი იპყრობს ყოველთვის ჩემს ყურათღებას...

ეს ადგილი ბალის ჩრდილო აღმოსაღეთისკენ არის. ამ ადგილზე იკრიფება ერთი პატარა წრე, რომლის მუღმივი და მასთან ერთი და იგივე წვერები მხოლოდ ურთი-ერთში ტრიალებენ, მხოლოდ ერთმანეთს ესაუბრებიან, ერთობიან და სხვა გარეშე ვინმე-კი, მათ შორის, მე არასოდეს არ შემინიშნავს.

ეტყობა, რო წრეს თვისი საკუთარი, განსაზღვრული წესები, თვისი ტრადიციები აქვს.

წრეს შეადგენენ, რამდენიმე ძველი მეომარი, რომელთაგან ერთი დაბალი ტანის, ცხვირ გასუქებული უნდა ხელმძღვანელობდეს ამ წრეს, მეორე-კი ძლიერ დაბეჩავებული სულ ძირს, მიწისკენ იყურება. არი მათ შორის მყოფი პედაგოგი, დაბალი ტანის, წვერ შეპარსული; ეტყობა, კეთილი გულის ადამიანია,

რათგან განუწყვეტილ იცინის და იღიმება... არის ყოფილი პოლიციელიც, რომელსაც პოლიცია დიდი ხანია დაუტოვებია, მარა პოლიციელის ხმაღს-კი მიანც განუშორებლათ ატარებს. ამ წრეში ითვლებიან: ყოფილი ხაზინადარი, ფოსტის მოხელე, ბანკის ვეჟილი და სხ... ერთი სიტყვით, ყველა ის, ვინც ყოფილა ზე ღმერთ-კი მხოლოდ წარსულის მოტრფილეთ ითვლებიან...

ნუ გგონიათ, რომ აქ ბაასი იყოს ამ მიმდინარე ომის შესახებ, ან იმ ცვლილებებზე, რომლებსაც გამოიწვევს ღმერთი უმაგალითო ომი... არა, აქ სულ სხვაა, და მასთან ერთი და იგივე საგანი მათი ყოველ ღმერთი საუბარისა...

ყოფილი მეომარი ღმერთის ეშხით იგონებს ჩვენი რაზმის ოსმალის რაზმთან ერთ შეტაკებას, ყირიმის ომის დროს ზე თუმცა ამ ამბავს ის ნახვეარ საუკუნეზე შეტია, რაც ყოველ ღმერთ იგონებს, მიანც ღმერთის შესაფერი, ცხელი ამბავი გონია.

ყოფილი პოლიციელი დაუღალავი მოამბეა ერთი ავაზაკის შეტყობისა, რომლის დროს მას დიდი ვაშაკობა და გამბედაობა გამოუჩენია...

გულკეთილი ზე მოღიშარი პედაგოგი ლაპარაკობს იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენში, მის დროს სწავლა-განათლებლის საქმე და სიამოვნებით აღნიშნავს, რო, მას ამ საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის და სხვა....

ყველა თავისას ზე მორიგებით იგონებს ზე ეს ასე ხდება ამ წრეში, თითქმის ყოველ ღმერთ, როდესაც შეკრებისთვის ამინდი მათ ხელს არ უშლის.

სიცოცხლე მათი მხოლოდ წარსულშია; მათ გონებას მომავალი სულაც არ იპყრობს... რა ქნან, როდესაც მათი სიცოცხლის ღმერთ საღამოს ბინდში უკვე გახვეულია ზე მათი მზეც ჩასულ-ჩაწურულია?!...

3

ჩემი სიცოცხლის ღმერთ საღამოს ბინდს უახლოვდება და ჩემი მზეც ჩასასვლელათ მიწურულია.

მძიმე და უიმედოა ვითარება ჩემი სუ-  
ლისა...

აწმყო ჩემთვის არა რაი არს და მომავა-  
ლზე სულაც არ ვზრუნავ..

ჩემს ოცნებას აღარ იტაცებს მუდმივი  
ფიქრი მრავალფეროვან და იმედიან მომავალ-  
ზე...

მე უკვე განვლე სიმწრის გზა უფერული  
ჩემი ცხოვრებისა და ახალ გზას აღარ ვეძებ...

ლელვა ჩემს არსებას აღარ სდევს და სა-  
მუდამოთ დახშულია ჩემში იმედი სიყვარუ-  
ლისა....

მხოლოდ წარსული მასულდგმულებს მე

და არსება ჩემი მხოლოდ და მარტო წარსუ-  
ლშია...

მეც მინდა.... მეც მოვეძებ ჩემ ფერთა  
წრეს...

დავეძებ ამ წრის შესაკრებ ადგილსაც..  
მე მწადია, რომ იქ, იმ არჩეულ ადგილზე,  
თავ-შეყრილნი ერთად ვეძლეოდეთ მოგონებას  
და მხოლოდ მოგონებებს..

მე მინდოდა გულით... მარა ვიშოვნით  
კია მე და ჩემი ცხოვრება ამხანაგს?. ან მექ-  
მნება რაიმე მოსაგონარი მე? და, თუ მექნა,  
რა, ან ვინ იქნება საგანი ჩემი მოგონებისა?!

თავ-თეთრი.

## ჩემი ნავი.

ამ ზღვა მღელვარე, ზღვა მქუხარე, ზღვა ბობოქარსა,  
ჩვენც თან მივყავართ, მიგვაქანებს, პატარა ნავო,  
და, არვინ უწყის, რომელ კუთხეს, სადით გავგრიყავს,  
ან და რომელ კლდეს მიგვახეთქებს, ჩემო ფრინავო...

ბევრი განახავს მისი ღელვა, მისი ღრიალი...

მას არა ერთხელ ჯურღმულისკენ ჩაუთრევიხარ.

მარა მენავეს მოუსვია დროზე ნიჩაფი

და მე შეკუთონი. არვის მიგცემ, ღღეს შენ ჩემი ხარ.

არც ახლა შედრკე... მედიდურათ გააპე ტალღა.

მე დამილოცა იმ მენავემ მძლავრი ნიჩაფი:

არ მიგატოვებ, ვიდრე ვცოცხლობ და შემწევს ძალა,

თუმც ზღვა უაზრომ სასიკვდილო მესროლოს ქაფი...

თუკი ვერ შეძლოს ჩემმა სულმა უსწორო ომი

და დავიღუბო, ზვირთმა ჩამსთქას, შენი მენავე,

შენ, როგორც წინ: თ, ძლიერ მტერთან განაგძე ბძოლა..

მედგრათ ეკვეთე, ტალღათ გროვა გაანიავე...

ვაი, მქუხარე, ზღვა მღელვარემ, თუ ისე მომსპოს,

რო ვერ მოვესწრო, არ მეღირსოს აღთქმის ქვეყანა,

რო შენ ვერ განახო სამშვიდობოს გასული, ნავო,

და ისე მოვეკვე, შენი ჯავრი წავიღო თანა...

ამ ზღვა მღელვარე, ზღვა მქუხარე, ზღვა ბობოქარსა,

ჩვენც თან მივყავართ, მიგვაქანებს, პატარა ნავო,

და, არვინ უწყის, რომელ კუთხეს, სადით გავგრიყავს,

ან და, რომელ კლდეს მიგვახეთქებს, ჩემო ფრინავო.

გ. ალი.

### წაბლიას ზირისუვალნი.

(ძღ. ჟენია კილასონიას პატარა ქალს.)

ჩამამავალი მზის ოქროს ფერი სხივები უკანასკნელათ შექრილა კარ-ღია ოჯახში, თავს დაქათქათებს ფენშიშველა და დახეულ ჩითის კაბით მოსილს, მარა მაისის ვარდივით გაფუჩქენილ პატარა, 8—9 წლის დიასახლისს.

—სუ, სუ, სუ, სი-სა... ნანა, ნანა... უგალობს აკვანში მწოლიარე ჩვილ ძამიას ანიტა.

დეიძინე, დეიძინე!-შელულუნებს ტრედივით და ურწევს ფუნჩულა ხელით აკვანს...

—მევე-ხან გამომშვებით ბლავის კუთხეში მიკეთებულ სახბოედან შველივით წითელ ყელ მოღერებული ხბო.

... ობოლი არაა ანიტა: ყავს შრომის მოყვარე დედ-მამა, მარა ღარიბი... მათ საკუთრებას ეს ერთი ჯარგვალა სახლი, ორი ქცევა გამოფიტული მიწა და ერთი ბებერი ძროხა-წაბლია შეადგენს...

ყავს უმცროსი, 6—7 წლის ქერა თმიანი და ჟუჟუნა თვალებიანი დაია-ქეთო. მარა მაინც მარტოა ანიტა ოჯახში. მისი დედ მამა თანასწორ შრომის უღელში შებმულნი ებძვის სხვის სანადელო მიწას. პატარა ქეთო-აი, წაბლიას აძივებს მიღორში...

უყვართ მშობლები ბავშვებს, უყვართ მით უფრო, რო დანატრულებულნი არიან მათ ცქერას, მათ ოფლიან გულ-მკერდზე მიხუტებას და დაკოჭიებული ხელებით ალერსს... მარა ნაკლებათ არც წაბლიას სიყვარული ღვივა მათ ჩვილ გულში.

უღიერი შრომით და შვილის დაშორებით დედას ხშირათ უშრება ძუძუ...

პატარა ქეთო წაბლიას ძუძუთი აიზარდა და პაწია კოტესაც იმით ზდიან...

ვით დედ მამის სახლში მოსვლას, ისე შეეხარებოან ბავშვები გატენილი ჯიქნით წაბლიას დაბრუნებას...

პირუტყვიც გძნობს ბავშვების მისდამი სიყვარულს. დგას იგი კისერ გაწვდილი, თვალეზ დანაბული, ქეთო პატარა თოთო ფჩხილებით ფხანს, კოტე-კი მიფორთხავს, უპოქყინებს ძუ-

ძუებზე უსუსურ თითებს: — „ძიძი, ძიძი“! — იძახის და კისკისებს გძნობიერათ...

ძამია კოტეს შია და ქირვეულობს, დაია წაბლიას სახელით ამშვიდებს, კოტეც „აღუს“ შემდეგ, წაბლიას სახელსა სწავლობს.

ტაბლ, ტაბლ-ლულულულებს აკვანში მწოლიარე პაწია.

— მოდი, წაბლია, მოდი! დაძახის ანიტა. მარა არსაიდან ჩანს წაბლია. არ ისვენებს კოტე... ხდის პირსაფარს, პატარა დაია და მთოლვარე მარჯნის ფერ ბაგეს აკონებს პატარა ძამიას ჩვილ-ფუნთუშა და გასაშლელ ვარდის კვირტივით ბაგეს; „მპა, მპა“, ისმის ხანგძლივით...

უხსნის არტახებს და ამოყავს აკვნიდან.

—მაქსიმე!-იძახის ვილაც. ანიტა პაწია კლავებით ნორჩ მკერდზე იხუტებს აკრემლეულ კოტეს და გადის ეზოში.

—სადარი მამა შენი, გოგო?!-ეკითხება მას მაღალტანის და კარგათ ჩასუქებული, მრისხანე გამომეტყველების სოფლის მამასახლისი.

—სამუშევრშია, ბატონო. აძლევს პასუხს ანიტა.

—ჰმ „სამუშევრშია“...-ამბობს უკმაყოფილოთ მამასახლისი და აქნევს თავს.

—რა ვქნათ?!... ეკითხება მამასახლისის გაიძევრული თვალების ბრიალით წვერ მოპარსული თანმხლებელი. მამასახლისის, თითქო არც-კი ესმის მისი შეკითხვა; კვლავ ბავშს ეკითხება:

—გოგო! გადასახადი ფული იშოვა მამა შენმა, თუ არა?—

—არ ვიცი, ბატონო. აძლევს პასუხს ანიტა და მის მოლიმარ სახეს და ცელქათ მოცქრიალვ თვალებს სასოწარკვეთილების მწუხრი ედება, კოტე-კი ჩამავალი მზის მთოლვარე სხივებს უცაცუნებს პაწია ხელებს.

—მევე!-ზოისმის ხმა შორე გზიდან.

—მევე!-აძლევს პასუხს მშვიერი ხბო.

—ტაბლ, ტაბლ!-ლულულულებს კოტე და სიხარულით ანთებული, შველის ნუკრივით ცმუკავს დაიას კლავებში. შფოთვით შემოქ-



რის ეხოში წაბლის ფერი, რქებ მოკაკუქებუ-  
ლი წაბლია... მარა პატარა დიასახლისის, პა-  
წია კოტესი და მშიერი ხბოს სიხარულს ბო-  
ლო ეღება... აგერ?! კისერში თოკს აბმენ...

მიყავთ წაბლია!.. არ მიდის... ფეხებ  
გაბაჯიჯგებული დგას, უძალდება მოძალადეთ...  
იომენს მხეცურ მოპყრობას... მამასახლისის მწვა-  
ვე მათრახებს...

— „რას მერჩით, ადამიანო! რისთვის  
მაშორებთ შეჩვეულ ოჯახს?! მუდამ ჩემს მოა-  
ლერსე, ჩემი ძუძუთი აღზდილ ბავშვებს?!“...  
სურს შეეკითხოს მოძალადეთ, მარა პირუტყვია!..

მიყავთ უხეში ძალით დამორჩილებული  
წაბლია... აობლებენ პატარა პირუტყვს, აობ-  
ლებენ პაწია ბავშვებს... წუწუნით მისდევს უკ-  
ან ქეთო ... ტირის პატარა დიასახლისი-ანი-  
ტა...

- ტაბლ, ტაბლ!...-ქვითინებს ცრემლების  
თქრიალით კოტე...

—მევე, ბევე! ბლავის შიმშილისგან ხმა  
მისუსტებული და მოძალადების მიერ დაობ-  
ლებული პირუტყვიც...

მინა რაჭველი.

\* \*

(ო-ს)

შენი ლოყები ვადარე  
ახლათ გაფურჩქნეილ ვარდის გულს,  
ტუჩები ლალის ძოწეულს  
ტრფობის მდელაში ობლათ რგულს!..  
თვალეები ნარნარ გიშრის ზღვას  
მარგალიტებით აღვსილსა,  
კბილები მარმარილოს ქვებს  
განგების ხელით გათლილსა!..  
ტანი თვალ მიმტაც საროს ხეს,  
სიშენიერიო რჩეულსა,  
და ტვერი-აბრეშუმის ტყეს  
ნიავის ფთებით რხეულსა!..  
ცისა შვილი ხარ, სიცოცხლევე,  
იმედის სხივთა მთოველი,  
ნაზი, ლამაზი, მალხაზი  
სათნო, კეთილი, გულ-წრფელი!..

იხარე, მარად იხარე,  
ვით გაზაფხულის იანი,  
ვით ვარდის სატრფო ბულბული,  
მომხიბვლელ ამო ხმიანი!..  
ნ. ვარლამილი.

## შურის ძიების სხვერპლნი. \*)

### VIII.

სოფელ ქედისძირას მთელს ო-თის მაზ-  
რაში ტოლი არ ყავდა, როგორც კულტურუ-  
ლათ, ისე თვისი მდებარეობითაც. იგი რკინის  
გზის პირათ იყო გაქიმილი და ერთობ სწო-  
რი ადგილი ექირა. მას მრავალი კერძო, თუ  
სახაზინო დაწესებულებანი აშვენებდა. აქ იყო  
სამოქალაქო სასწავლებელი, ქალების და ვაჟე-  
ბის სამინისტრო და სამრევლო სკოლები, ფო-  
სტა-ტელეგრაფის კანტორა, ქსენონ-აფთიაქი,  
ზომრიგებელი სასამართლო, კოოპერატიული  
დაწესებულებანი და სხვა. ყოველივე ამით იგი-  
თვით სამაზრო ქალაქსაც მეტოქობას უწევდა.

სოფლის ინტელიგენციაც, მასწავლებლე-  
ბი, განათლებული ღვდლები, მკურნალი, ბებია  
ქალი, მოხეელები და სხვა, საკმაოდ იმყოფე-  
ბოდა შიგ.

საზაფხულო არ დადევებზე-კი ადგილობ  
სტულდენტებს და მოწაფეებს ხო სათვალავი  
არ ქონდა. იმართებოდა წარმოდგენები, ლექ-  
ციები და სხვა გასართობი.

მიუხედავათ ამისა, სავალალო ის იყო,  
რომ ამოდენა ინტელიგენცია ვერ იჩენდა დიდ  
ფხას, საზოგადოების ხორც-მეჭს წარმოადგენ  
და, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიო-  
დე გულწრფელ, ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს.

იგი, ამ ორიოდეს გამოკლებით, უმეტეს  
დროს ბანქოს თამაშში და ღვინის სმაში ატა-  
რებდა, საზოგადო საქმეს გვერდს უვლიდა  
და, თუ ცხოვრობდენ სოფლათ, მხოლოთ  
იმიტო, რომ ოცში ჯამაგირი მიეღოთ.

საზოგადოებაც კარგათ ხედავდა ამას და

\*) იხ. „ცხოვრება“, № 7.

ნაკლებათ ენდობოდა მათ, თავის საქმეს თვითვე უძღვებოდა და ადვილათ თავს არვის აჩაგვრინებდა.

თვითცნობიერება, რომელიც 1905 წელს აღმოცენებულიყო, თან და თან ძლიერდებოდა მათში და, მიუხედავად მრავალგვარ გარეშე დაბრკოლებათა, მკვიდრ ნიადაგზეც ღებოდა.

მართალია, ბევრი შრომა იყო კიდევ საჭირო, რო საზოგადოებას საესვებით ახლოდა თვალეზი, რო გაერჩია ნამდვილი მტერი და მოყვარე, უკუეგლო მავნე ზნე-ჩვეულებანი, რომელიც ისეთაც გაძვალტყავებულ გლეხ-კაცობას აკინებებს, როგორც ქონებრავათ, ისე ზნეობრივათ, დაეზო თავის თავში შური-კინკლაობა... მარა ნაბიჯი წინ უკვე გადადგმული იყო და ბწყინვალე განთიადი არც ისე შორს იყო, როგორც ეს ხალხის ორგულებს ქონდა წარმოდგენილი. „შრომელმა ხალხმა თვითვე უნდა გაქედოს თავისი ბედი“-ო და ეს ცნება ნელის ნაბიჯით, მარა მაინც ხორციელდებოდა აქ.

—არა, ძამია! იგინის ყურება ჩვენ არ გვარგია, ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ, თვარა, ძალები შეგვკამენ. იგინს კარტის თამამის და არშიყობის მეტი აფერი არ ახსოვს!. უპასუხებდენ გლეხები, როდესაც განებივრებულ სოფლის ბობოლაზე მიუთითებდა ვინმე საზოგადო საქმის საწარმოებლათ.

და მართალიც იყო. სად ეცალათ იმათ სოფლისთვის, ან რათ შეიწყუხებდენ თავს!.. თუ რამე თავის სასარგებლოს დაინახავდენ, მაშინ „ყველაფერი“ იყვენ: საქმეში ეჩხირებოდენ, ქადაგებდენ, ვაკეთებას პირდებოდენ საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანცელარიას და ყრილობას ახლოც არ გეეკარებოდენ.

ძალიან იშვიათად მოიბოვება ჩვენს კურთხეულ საქართველოში გულწრფელი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე.

ს. ქედისძირის მომრიგებელ სასამართლოს სუდია, ილია სავიჩ კონწარაძე ხო დაკინების ნამდვილი ტიპი იყო. იგი საზოგადო საქმეს-კი არა, თავის პირდაპირ ვალდებულობასაც ვერ ასრულებდა ზირნათლათ, რისთვისაც არა

ერთხელ მიუღია უფროსებისგან შენიშვნა. ხშირათ იგი მართალს ამტყუნებდა, მტყუნას ამართლებდა, საქმეს არ იძიებდა საფუძვლიანათ. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ, როგორ ხასიათზე ადგებოდა იგი დილით, ან ვისი საქმე იქნებოდა გასარჩევათ დანიშნული. ვაი მისი ბრალი, ვინც ცუდ ხასიათზე შეხვდებოდა მას, ან საქმე არ ექნებოდა მასთან წინდაწინვე „გაშალაშინებული.“ გალანძღავდა, გაათახსირებდა მას, სიტყვას არ შეაბრუნებებდა. და ცამდი მართალიც რო ყოფილიყო, დამნაშავის სკამზე წამოასკუპებდა.

სწორეთ ასეთ ცუდ გუნებაზე იდგა ილია სავიჩ კონწარაძე იმ დღეს, როდესაც ელისაბედის საქმე იყო გასარჩევათ დანიშნული. წინა ღამე ქეიფობაში გაათენა მან, ვახშმათ დიდი ხნის უნახავი მეგობარი, ახალგაზდა ინჯინერი, ვახტანგ ბრუშაძე ყავდა მოწვეული, რომელიც ქალაქიდან თვისი დეიდის, ივლიტას სახახავათ ჩამოსულიყო ორიოდღე დღით.

სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო გაქვდილი. ვინ თავის საქმისთვის იყო მოსული, ვინ ელისაბედის და ივლიტას მოწმათ, ვინ-კი ისე... „სათვალისვიროთ“.

მსაჯული დაღვრემილი იჯდა სავარძელში, თვალეზი დაბერილი ქონდა და ისე მრისხანეთ გამოიყურებოდა, რო შიშის ჟრუანტელს გვრიდა იქ მყოფთ.

—რავა დასიებია სუდიას ნაქეიფარი და უძილარობით თვალეზი!..-ჩუმათ გადულაპარაკა ერთმა ყმაწვილმა კაცმა იქვე გვერდში მდგომ მეზობელს.

—მერე, ვისთან უქეიფია, რომ იცოდე!.. ივლიტასის დისწული ჩამოსულა აქანა და იგი ყოლია ვახშმათ დაპაიჯებული. ძალიანი მეგობრებიო, სუდიას წერალმა თქვა ამ დილას.

—აჰა, გლახათ წასვლია ელისაბედს საქმე!!

—ამას არ ვჩივი!.. ტყულათაი უნდა დენისაჯოს მართალი ადამიანი!.. სუდიას ეცოდინება, ალბათ, რო ვახტანგის დეიდაია ივლიტაი და იმას გაამტყუნებს ახლა, რაც უნდა მტყუნაი იყოს!...

—რავა გადაყვა საწყალობელი ელისაბე-  
დი ამ საქმეს. ვალი დეიდვა და ვახში. და ქე  
მანც გამევიდოდეს რამე!..--ლაპარაკობდენ მე-  
ორე ადგილას უფრო ხნიერები.

—რაფერ გაჩერებულყო, შე კაი კაცო!  
ამისნაი დიდი შეურაცყოფა ძნელი შესაქმე-  
ლია!..

—ძნელი, შესაქმელი კია, მარა ხო კი  
იცი, „ძალა აღმართს ხნავს“. ვახტანგთან უქ-  
იფთია სუდიას და!...

—საქმეც სწორეთ ამაშია. იმიზა ვჩივი  
ტყულათაი დეიხარჯა ელისაბედი-მეთქი...

მეტი რალა გინდა, რავაც-კი გუუგია ივ-  
ლიტას, ელისაბედი საჩივარს აპირობს ჩემზეო-  
გუუშანშალებია თხოვნა და სუდიიზა მუერთ-  
მეგია: ელისაბედმა კვატები მომპარაო.. ავა,  
ნახავ დღეს, ვის თხოვნას გაარჩევნ!..

ამას უყურე!. რა გაქლექილი დედაკა-  
ცია!..

—ავი პატარა საქმე-კი არ გეგონოს! სი-  
სხლის სამართლის სუნი უდის ამას!..

— რეიზა აწი!

— რეიზა და იმიზა!.. ქურდობა დიდ-და-  
ნაშაულობათ წერია კანონში...

—არა, მაგი ასე-კი არაა!.. ჩაერთა მათ  
ლაპარაკში ადგილობრივ სოფლის მასწავლე-  
ბელი, რომელიც იმათ შორი ახლო იდვა და  
ყურს უგდებდა იმათ საუბარს. სისხლის სამარ-  
თლის საქმეს მირავოი სუდი ვერ გაარჩევს,  
უფლება არ აქვს. იგი აზნაურიშვილებს ეხება  
და ელისაბედი ხომ აზნაურიშვილი არაა!..

—რა ვიცი, დაწყევლოს ღმერთმა; ვერა-  
ფერი ვამიგია ავინის. დღეს ამისნაი კალო-  
ნია, ზვალ იმისნაი! თვით არ იციან, რას  
შობიან!..

—ავი კანონის ბრალი კი არაა, კანონი-  
ერთია, მარა ამსრულებელი აქცევა უკანონოთ  
ხშირათ. შორს სადღა მივდივართ. დღესვე  
დენინახავ, რამდონი უსამართლობა და უკანო-  
ნობა არი საწყალობელი კაცის თავზე...

—ავი მართალია. ჩვენს სუდიას ახლა  
კანონი და სამართალი ფეხებზე კიღია. ვახ-  
ტანგს აწყენიებს!..

— უყურე, უყურე, რავა უდარდელათ  
მუსაიფობს ეგერ იელიტაი. ჰო, ჰო, ჰო!. რა  
მოწმეები მუუყვანია, რა მოწმეები!...

დეგენიძლევები, პავლიე ქურდი, თუ მისი  
მოწმე არ იქნება!.. ერთ მანათიანს მიატყეპე-  
ბდა შუბლში და!...

—ჰმ!!!...

გ. ებრალიძე.

(შემდეგი იქნება).

## კ რ ი ტ ი კ ა . ეკატერინე ვაბაშკილისა.\* )

II

ავილოთ ახლა ჩვენი მწერლის მოთხრობა  
„რომანი დიდ ხევაში“ (გვ. 25), სადაც ორი  
არსების, მაროსა და პავლეს სიყვარული აქვს  
მას აღწერილი და მოკლეთ განვიხილოთ. მაროს  
და პავლეს სიყვარულს, იმათი დაკავშირების  
საქმეს ხელს უშლის იმათი ერთი მეორის მძა-  
ხლობა და ეს გარემოება შეიქნება მთელი  
სოფლის სალაპარაკო საგანი. ამ მიზეზის გამო  
იმათ ღვდელაც არ დაწერს ჯვარს.

მართალია, პავლე ხმამალა იძახის:  
„ახლა სიყვარული სირცხვილი როდია! ახლა  
სირცხვილი ის არი, თუ უსიყვარულოთ ცოლს  
შეირთავს ვინმე. მე და შენ რომ ერთმანეთი  
გვიყვარს, ვის რა აკლდება?... მარო, ძალით  
იქნება, თუ ნებით, ჩემი უნდა, გახდესო“.  
მარა სურვილი ვერ შეისრულა... მთელი სო-  
ფელი მათი სიყვარულის წინააღმდეგ ამხედრდა  
და ორი ადამიანი შეიქნა საუკუნოთ გაუბედუ-  
რებული წვერი საზოგადოებისა. პავლე, ბოლოს,  
ხანჯლით მოკლავს მაროს და თვით საპყრობ-  
ილეში მოკვდება ქლეკით. ამგვარათ, სოფელს  
გაუღმერთებია ბუნების წინააღმდეგი ჩვეულება,  
რომელიც სხვერპლათ იწირავს ორს სასარგებლო  
და სოფლისთვის თავმოსაწონებელ არსებას და  
ამ გარემოებას მთელი თვისი არსებით პროტ-  
ესტს უცხადებს ავტორიც...

\*) იხ. „ცხოვრება“, № 7.



ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ, ამ მიზეზის გამო, მაროსა და პავლეს ჯვარს არ წერდეს ღვდელი. როგორც ვიცი, ასეთი მოქორებული ნათესავობა ჩვენს ეკლესიას არ წამს და, მაშასადამე, ღვდელსაც ნება არ ქონდა ჯვარი არ დაეწერა. ეს ცოტა არ იყოს, ნაძალადები ამბავი გახლავთ. მარა ეს გარემოება დიდათ საჭირო იყო ჩვენი რომანტიკოსი მწერლისთვის, რომ მკითხველის გულში უფრო აღედგრა ზიზღი და სიძულვილი ასეთი არა ნორმალური მოვლინებისა...

ამავე მოთხრობაში ავტორი ეხება სოფლის წოდებათა ურთიერთობასაც და აწერილი აქვს ნაბატონარის მოურავის და გლეხთა შეტაკება, იმათი ინტერესების ბძოლა. ერთს დღეს „გადამთიელ იმერელს“ — ივანიკასა და გლეხების წარმომადგენლის, პავლეს შორის დიდი ჩხუბი ატყდება. მოურავი, „წუწუკი იმერელი“, კინალამ მოკლეს სოფლის ტეტებიმა. მარა „რევოლუცია უიარაღო ხალხი უკან დააყენა. ივანიკამაც უკან-უკან დაიწია და, ბოლოს, კარებში გაფარდა.“ რა თქმა უნდა, ავტორის სიმპატიები ტეტებისკენ არი და ეს მოთხრობაც, სხვათა შორის, ახასიათებს მას, როგორც იმ დროის მწერალს.

მოთხრობაში „კონა“ (გვ. 81) ავტორს აწერილი აქვს, თუ, როგორ იზდებოდა სხვის კარზე მოსამსახურეთ კონა, რომელიც, დედინაცვლის მეოხებით, სხვის მოსამსახურეთ მიეგდო მის ღვიძლ მამას. კონა იზდებოდა ბატონისას და დიდი ტანჯვა და ჯოჯოხეთი აიტანა მან, რომელსაც თანამგძობი და მომფერებელი არავინ ყავდა, გარდა ლევანისა, რომელიც იყო დედით ობოლი და მისი „დედინაცვლისგან ბევრჯელ უსამართლოთ დასჯილი“.

თუმცა სოციალური მდგომარეობით კონა და ლევანი ერთი მეორისგან დიდათ გასხვავდებოდნენ, მარა ისინი მწუხარებას და ობოლობას ერთი მეორისთვის ძლიერ დაეახლოვებია და დროს, მომკეტებულათ, ერთად ატარებდნენ. ერთმანეთის უბედურებით დაკავშირებული ობლები, ერთი მეორის შებრალებაში, დიდ შეღავათს პოულობდნენ, ერთმანეთს იგინი სიყვარულ-

ლით და აღერსით ეპყრობოდნენ. გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ, რომ მოშორებოდნენ თავიანთ მწვალებლებს და გაიპარნ სადღაც. მარა ლევანის მამამ იგინი გზაზე ვაგონში დაიჭირა და სახლში მოიყვანა.

ქალბატონი წიხლებით შედგა კონას „და იქ მღვამ ბიჭებს, რომ არ შეენიშნათ კონას გულის წასვლა, იქნება, ფეხქვეშაც ხმა ამოუღებლივ ამოსვლოდა სული.“ კონა საშინელი ავადმყოფი შეიქნა და ძლივს გადაარჩა. გადარჩა... მარა მის მოთმენიან გულში ამიერიდან შურის ძიების გძნობა ძალიან გაძლიერდა. მან გადაწყვიტა მისი და ლევანის მტანჯველისთვის სამაგიერო გადაეხადა და ბარბარეს გულში დანა ჩასცა. ბარბარეს ამით მან ვერაფერი დააკლო, მარა კონამ, ისედაც დაავადმყოფებულმა ველარ აიტანა ასეთი დიდი სულიერი ბძოლა და... თქვენი ჭირი წაიღო.

ლევანი, ბოლოს, მამას შეურიგდება, „გინაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლესი სწავლაც მიიღოს“.

ბარბარე და სერაფიონი იმიტომ იყვენ წინააღმდეგი კონასა და ლევანის დაახლოვებისა, შეკავშირებისა, რომ წოდებრივი გასხვავება იყო ამ ორ ახალგაზრდათა შორის გაჩხირული. და ამ გარემოებას ხო ბარბარე და სერაფიონი ვერ შეურიგდებოდა თავის დღეში. იმიტომაც, ეს ორი უდანაშაულო სხვერბლი შეეწირა სოციალურ უსწორ-მასწორობის უსამართლობას.

აქაც უნდა შევნიშნო, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი, იშვიათი მოვლინებაა სოფლებლების ცხოვრებიდან აღებული და არა ყოველ დღიური ამბავი სინამდვილისა. და ეს იმიტო, რომ ავტორმა გული აუჩვილოს ჩვეულებრივ მკითხველს და ცრემლები გადმოაყრევინოს.

ქუჩის და თედოს (მოთხ. ორენა და ქუჩე გვ. 145) ერთმანეთი უყვართ ძლიერი სიყვარულით. სწორეთ ერთმანეთისთვისაც იყო ეს ორი არსება ამ ქვეყნათ გაჩენილი: „ქალი მაღალი, კობწია, მისის ვარდივით გადაშლილ ლოყა-ტუჩებით... ბიჭი-ლომი, მხარ ბეჭ გადაჭიმული, ახლათ უღვაშ აყვავებული... ესენი ეშხით დატრიალებდნენ ერთმანეთს“.

შარა გაჩდება გარემოება, რომელიც გზაზე გადაელობება ამათ გაბედნიერებას: „ქუჩე იყო დედის ერთა, მზითვიანი ქალი, იმისი მამა—გოგია აზნაურებს აღირებდა თავის გოგოს. თედო-კი (ორ-ენათ წოდებული) ერთი სხვა მხრიდან გადმოვარდნილი ბიჭი იყო და ლუკმა პურს მოჯამაგირობით შოულობდა“.

ამიტომაც, ეს გარემოება გადაელობება იმათ გაბედნიერებას. თუმცა უმანკო სიყვარულის სიტკბოება იმათ უკვე განიცადეს და ქუჩეს თედოს სიყვარულის ნაყოფიც გამოაჩნდა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, მთელი სოფელი დიდათ ააყაყანა და გამწარებულმა მშობლებმა სიცოცხლით სავსე ქუჩე ცოლათ მიათხოვეს „ორმოცდაათი წლის კაცს“. ამ ქმარმაც, ჯვარის წერის შემდეგ, ყველაფერი გაიგო და გაბრაზებულმა უბედური ქუჩე ისევ მშობლებს მიუგდო სახლში, რომელთაც იგი წამდვლიათ აწამეს. „ორთავენი ერთად მხეცებივით დაეტაკენ ქუჩეს. გაცოფებულნი ამყობის დამკირებით, ესენი შეუბრალებლივ ტანჯავდენ ქუჩეს. პირი, ხელი, ნაწნავები, ერთი სიტყვით, რაც-კი ხელქვეშ მოხვდებოდათ, შეუბრალებლივ იბღღენებოდა... გაჩუმებული და გულწასული ეგდო ქუჩე მიწაზე და უსიტყვოთ იტანდმა გამხეცებულ ღვიძლი მშობლებისგან ტანჯვას... ხოლო, როცა გული რიგიანათ მოიოხეს, დაავლეს ხელი ორთავემ და გულწასული გოგო ბოსელში შეათარეს და გამოიხურეს კარები“.

ქუჩეს მშობლებთან ერთად, მთელი სოფელიც გადაეტერა და „არც ერთი მოსარჩლე, არც ერთი ნუგეშის მცემელი არავინ ყავდა“. ამ მდგომარეობაში მყოფს ქუჩეს შვილიც ექოლება. დედა „გიჟივით დააფრინდა პატარას, საჩქაროთ მიიკრა გულზე, ალერსით დაეკონა და ისევ საჩქაროთ დაახეთქა ზღუდებზე“. ამ უბედურებას მოყვა ქუჩეს გასამართლება და საუკუნოთ დაღუპვაც. ყველა მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა იმისი დანაშაული და „იმზე-კი, თუ რამ მიიყვანა აქამდი, რასაკვირველა, ხმა არავის ამოუღია“. ახლა ყური დავუგდოთ, თუ, რა სიტყვებით ასწერს ჩვენი ნიქიერი ავტორი ქუჩეს გასამართლების სურათს:

„სასამართლოს დარბაზი სრულიათ ცალიერი იყო. სულ ათი კაცი არ დასწრებია ამ საქმის გარჩევას. აბა, რა ღირს-საცნობი იყო საწყალი\*“ გლახის გოგოს ამბავი? ქუჩე რო დიდი ოჯახის ასული ყოფილიყო, მაშინ სასამართლო ბევრს შემამსუბუქებელ საშვალეებას მიიღებდა მხედველობაში! ახლა-კი გოგიამ ვილაცა საექვო პატიოსნების „ადუკატი“ მოიწვია, რომელიც სასამართლოს წინ თრთოდა, გამართლების მაგივრათ, თავის მომწვევლებისთვის შებრალებას თხოულობდა, შებრალებას იქიდან, სადაც კაცის გული გაქვავებულია და სადაც სხვისი ქირი მხოლოთ გამართობელი საგანია! ქუჩე ტუსალის ტანისამოსით, თვალებზე შალ-ჩამოფაფხული უგძნობლათ იჯდა. იმან ამ დღეს მარტო ორჯელ აიხედა მალა: ერთი მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაზე გოგიამ და ნინომ ტირილი მორთეს, — და საშინელი იყო ეს გადახედვა! ამ გადახედვაში და მწარე ღიმილში გამოცხადდა სრული სიძულვილი და ზიზღი იმის ამ დღემდი მიმყვანთა ცრემლების ულაგობაზე, და შეორე მაშინ, როდესაც ის ორ შტიკიან სალდათს ჩამოყავდა სასამართლოს კიბეზე... იქ კუნქულში იდგა გაყვითლებული, დაგლეჯილი ტანისამოსით, ცალ-ხელა ყმაწვილი ბიჭი და ხელგაშვერილი მოწყალეებას თხოულობდა. ქუჩეს გააჟრჟოლა. ის ერთი წამით შედგა, უნუგემოთ თავი გაიქნია და ახლა-კი ცრემლები ვეღარ შევიმაგრა... იქნება, წარმოიდგინა ის წამები, როდესაც ესენი ზეცამდი ბედნიერნი იყვენ მარტო სიყვარულით და ახლა-კი, იმავე სიყვარულისა და ადამიანის სიბრიყვის წყალობით, უფსკრულამდის უბედურნი. ერთი წლის წინათ სავსენი სიცოცხლით, სილამაზით და სიკბუკით ერთმანეთს შეტრფილოებდენ და კაცის თვალს ატკბობდენ, ახლა-კი დამახინჯებულნი იმავე ხალხის მოწყალეებით განიწირებოდენ საზოგადოებიდან.

\* „საწყალი“, ხმარობენ. შარა უნდა ითქვას და დაიწეროს **საწყალობელი**, სიტყვისგან—წყალობა.

ქუჩე წაიყვანეს. თედომ სწრაფათ გაიწია იმის შესაყენებლათ. მარა ხელზე დაიხედა, მწარეთ გაიღიმა და უნუგეშოთ, თითქოს საყვედურით, ზეცას შეხედა“.

ამგვარათ, როგორც ხედავთ, ეკატერინე გაბაშვილისა, საფრანგეთის სახელოვანი ბელეტისტი ქალის ჟორჟ-ზანდივით, თავისუფალი სიყვარულის დიდი მოსარჩლეა და პირადი უფლების, ინდივიდუალიზმის აღმსარებელი...

III.

მოთხრობაში „გურგენაულის ბაბო“ (გვ. 243) გამოყვანილია სოფლის „ტკბილი, გონიერი, დარბაისელი გოგო, რომელიც სახით არც შესანიშნავი ლამაზი იყო და არც გონჯი. უფრო იმ ლამაზებს ეკუთვნოდა, რომლებიც ძლიერ მოსწონთ გლეხებს. ზორბა მხარ-ბექ-გადაშლილი, ლოყა წითელი და შავთვალა მარილიანი ქალი.“ ამასთანვე დედამ ეს ქალი-შვილი დაუღალავ შრომაში ვამოხარდა და, აი, ამისთანა ვისკეს უყვარს ოსიანთ ოჯახის უმცროსი ძმა ჯიბო, „ჩაქაქა და ლაზარა და დევის მსგავსი ვაჟი“.

მარა ბაბოს ჯიბოზე-კი არ ნიშნავენ, ჯიბოს უფროს ძმაზე, მაქსიმეზე ნიშნავენ და, ბოლოს, იმაზე იწერს ჯვარს, რათგან ჯიბო უმცროსია და უფროსზე ადრე ცოლს როგორ შეერთავდა.

ამ რიგათ, სოფელ გუგულის ქედში „გაბედნიერდა“ ორი არსება: ბაბომ და მაქსიმემ ერთს გულუბზე და დოვლათით საფე შემოღვამის დღეს ჯვარი დაიწერეს. ექვისი თვეც არ გასულა ამას შემდეგ, რო ბაბო სულერთიანა სანთელივით ჩამოდნა, გაყვითლდა და დაიღია იმისი ფერხორცი და სიციცხლეც, არც ჯიბოს დაყრია სიკეთე. ისიც, ეს წამოსადეგი ვაშკაციც ძალზე დასუსტდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა და ლოგინათ ჩავარდა.

ერთ საღამოს მაქსიმე შინ მოდის „ძალზე შეზარხოშებული“ და პირდაპირ ცოლს დაეტაკება და საქმე იქამდე მიდის, რო მაქსიმე ცოლს ძირს დაცემს და ორივე მუხლებით გულზე შედგება და ყელში მაგრათ წაუჭერს: ამ დროს ჯიბო კეტს ისე საშინლათ დაკრავს

ძმას თავში, რომ იგი, ამის შემდეგ, ვეღარ გამობრუნდება და, რამდენიმე დღის შემდეგ, კვდება.

ჯიბო ციმბირს გავზავნეს და ბაბო-კი, რამდენიმე ხნის ავანთყოფობის შემდეგ, რკინის გზის სადგურზე გამოვიდა და იქ ორს მონაზონს გაეცნო, რომელთაც მცხეთას წაიყვანეს მოსამსახურეთ... მონაზვნებმა შეიბრაღეს იგი, შეუნიღვეს მას შეცოდებანი, მიიკედლეს სვეტი ცხოვლის წმიდა ალაგას, ასწავლეს ლოცვები, სინანული, მოთმინება და მისცეს მას ნუგეში მომავალი ცხოვრებისთვის...

მოთხრობა „ბეჩავის სიყვარული“ (გვ. 323) გვიხატავს ცხოვრებას კიდევ ერთი სოფელი შეძლებული ტეტისის, ნინიკა პაპიაშვილისას, რომლის დიდი დარდი ამ ქვეყნათ ის იყო, რო მას ყაჟიშვილი არა ყავდა და „ექვსი ტალიკ-ტალიკი გოგო, ერთი შეორებზე უკეთესი, თუ სილამაზით, თუ წარმოსადგებობით, თუ ვაშკაციური მხნეობით, ჩალათაც არ მიაჩნდა“ ამ ჩვენ ნინიკას.

შექარა მგელაძემ, რომელიც ნინიკას ცოლს რუსუდანს „ნათესავად მოხვდებოდა“, თვისი ბიჭი-გაბრო მოუყვანა მოჯამაგირეთ.

გაბროს შემოსვლით ნინიკა პაპიაშვილის ოჯახში ღვთის თვალი უფრო დიდი სიუხვით დატრიალდა. ყოველიფერს დიდი ლაზათი, სიუხვე და სისუფთავე დაეტყო. გაბროს ჩუმბი, უწყინარი და ტკბილი, ხავერდივით ღობილი ხასიათი მაინც ყველას ხიბლავდა და აყვარებდა იმის თავს.

რუსუდანი ხშირათ ეტყოდა ხოლმე ნინიკას, გაბრო შევილათ ავიყვანოთო, კანონიერათ გადავცეთ მემკვიდრობაო და ნინიკაც არ იყო უარზე: სწორეთ ოქროა ვე დედ-მამა ცხოვრებული, ოქროა! იტყოდა ხოლმე ნინიკა.

ბოლოს, როცა, ბევრი ფიქრის შემდეგ, ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა გაბროს შევილათ აყვანა, ნინიკამ გასწია შექარასთან სხვა სოფელში, რო ღარიბი მამა გაბროსი დაეყვანებოდა დაეთანხმებია. დაითანხმა, კიდევ და, ამნაირათ, გაბრო შევილათ აიყვანა ნინიკამ.

ნინიკას მეორე ქალიშვილი, მარო სწო



რეთ ამ დროს თექვსმეტი ქლის ათქვირებული გოგო იყო, რომლის გულის გაღვიძება ცეცხლისმფრქვევ მთას ემსგავსებოდა. გაბრომ უმაღლვე იგძნო ამ ცეცხლის ძალა და, თუმცა არ აპრიალდა, მარა სიამოვნებით-კი მიუშვირა ხელები გასათბობად.

„გაბრო მუშაობის შემდეგ, ჩდილოში წამოწოლილი თამამად ჩაუდებდა ხოლმე თავს კალთაში თავის დობილს და მაროც სიამოვნებით უწეწავდა აბრეშუმივით ბჭყვილა თმას, ხელს უსვამდა სპეტაკ შუბლზე, არმონიულის ნანით უტკობდა ყურს და სიახლოვით გულს და სჭრვილს. თვარიან ღამეებში, სიმიდის რჩევანზე, ხშირათ მიაცნობდა ხოლმე მარო გაბროს მხარს და თვრებოდა იმის გულის მოხშირებული ფართხალით; ბევრჯელ ეს სიმთვრალე იქამდისაც მიაღწევდა ხოლმე, რო ტუჩი ტუჩს იბოვნიდა, ყელი ყლს და თავის დავიწყებამდ მიიყვანდა ტუჩ შეწებებულთ და ხელ გადახვეულთ, მარა... გაახსენდებოდათ, რომ ესენი და-ძმანი იყვენ და ციგ-წყალ-დასხმულსავით გამოფხიზლდებოდენ ხოლმე“.

აი, ამ ორს, წრფელის გულით შეყვარებულ, არსებას წინ გადაეღობება ჩვეულებრივ სოფლელებს-ს ცრუ შორწმუნეობა ძმობილ-დობილობისა და უკვალოთ და-ღუბებიან მაროც და გაბროც სწორეთ ისე, როგორც სხვა გმირები ეკატერინე გაბაშვილის ყველა სხვა მოთხრობებისა...

მე გავუთვალასწინე მკითხველს ქან ეკატერინე გაბაშვილის თვალსაზრისო მოთხრობათ შინაარსი, რომელიც სოფლელების ცხოვრებიდან უფრო ერთ დიდ, საყურათღებო საგანს—ქალ-ვაჟის პირველ სიყვარულს გარშემო უტრიალებს და ამ უმანკო, ანგელოზური სიყვარულის გაფურჩქვნას უვალობებს შვენეირს, მიმზიდველს საგალობელს. ყველა იმისი მოთხრობების გამოუცდელი გმირები უდროთ ჰქნებიან, ყვითლდებიან და იღუპებიან, რათგან სოფლათ ქალ-ვაჟთა შეერთებას და შეკავშირებას ყოველთვის ხელს უშლის ტეტიათა ცრუმორწმუნეობა, წრეს გადასული, სასტიკი ჩვეულება. მთავარი საგანი ჩვენი ავტორის

მოთხრობათა შინაარსისა ეს არი მხოლოთ. და სწორეთ იმ დღიდან, რა დღიდანაც იმის მოთხრობათა გმირებს გამწარებული ცხოვრება ეწყებათ, რომელიც უფრო საინტერესო იყო ცოცხალი ადამიანისთვის, უნდა გაეშალა სავსებით და დაეხატა ავტორს მხატვრულათ, იგი რაღაც მოულოდნელათ და უეცრათაც საგანს ტოვებს, განზე უხვევს და გადაქარბებულ, მხატვრისთვის შეუწყნარებელ გულის წყრომით გააღმასებული სამარცხვინო ბოძზე აკრავს უვიცს ტეტებს და მოთხრობების ახალგაზდა გმირებს ფთების ვაშლასაც-კი არ აცლის ხეირიანათ, იმ წამსვე საიქოსკენ ისტუმრებს...

ასე აჩქარებულათ წერს და სჯის ჩვენი საკებური მწერალი ქალი, ეკატერინე გაბაშვილისა და ასეთი მანერა წერისა და მსჯელობაც, უნდა მართალი მოგახსენოთ, ყოველათ შეუწყნარებელია მხატვრულ მწერლობაში...

მართალია, უმანკო სიყვარულის სხივი ყველა ჩვენგანს გულში ჩასწედენია და მისი მთელი არსება აუპრიალებია. მარა ისიც ძალიან მართალია, რო პირველი სიყვარული ყველა ჩვენგანსთვის ნამდვილი სიხმარი ყოფილა და მეტი არაფერი. თითქმის არავის ჩვენგანს, ახლანდელს ცხოვრებაში, არ ღირსებია ამ სიხმარების ცხადათ დანახვა, აღსრულება და არც შემდეგში ეღირსება მოზარდ თაობას, რათგან აწინდელი ცხოვრება, თუ რთულდება, თორე არ მარტივდება, ძველებური სადა ელო-ფერი და ხასიათი მას აღარ დაუბრუნდება. მარა, დამეთანხმებით, არც ერთი ჩვენგანი, ქალია იგი, თუ ტანმთელი კაცი, ამ გარემოებას არ გადაყოლია, არ მოუკლავს.

აი, ასეთ საცუდლულტო ხერხებს მიმართავენ ხოლმე ლიტერატურაში უნიჭო და გამოუცთელი მწერალნი, რომ უნიადაგო აფექტებით მოხიბლონ მკითხველნი... ქან ეკატერინე გაბაშვილისას კი ეს არ მიეტევათ, რათგან მას დაკვირვების ნიჭიც აქვს და მწერლობის მაღლიც კარგათ ატყვია. მაშასადამე, იგი, წინათვე აღებულ ტენდენციებს რომ არ აყოლოდა, უფრო რიგიანს, სწორს და სრულს მხატვრობას შექნიდა. სწორი, რიგიანი, სრული და შვენეირი მხატვრობა-კი

ღრმით იხედება ცხოვრებაში და ხატავს იმას, რაც მოხდება ხოლმე ჩვენი თვალის წინ მუდამ დღე და ყოველთვის დახატავდა, რა თქმა უნდა, თვისი, ავტორის სულიერი განცდით.

მოგეხსენებათ, ცხოვრებაში ქალსაც ღ კაცსაც დღეს. დღეინდელ ეკონომიურ პირობებში, დღისათ აუტანელი ტანჯვა და მწუხარება შეხვდება. მარა ისინი გძნობენ თვის უძლურებას ამ დიდი ტანჯვის წინაშე და ცხოვრებას ურიგდებიან, ან ცდილობენ გამწარებული ცხოვრება, ეს მძიმე უღელი, შეისუბუქონ მუდმივ შრომითა და მუშაობით ღ, ამნაირათ თვისი ცხოვრების მოკლე დრო გაატარონ ნაკლები გამწარებითა და შეწუხებით... ტანმთელი აღამიანი, რომელსაც უცვნია თვისი თავი, პირველი სიყვარულის სხვერპლი ვერ განდებდა, იმიტომაც, რომ ეს სწორეთ პირველი ვატაცება გულისა, უფრო გამოუცთელი, დაუკვირვებელი და, მამასადამე, ასე წუთიერ გულის ამყოლ „საქმეზე“ თავს ვერც ერთი ჩვენ განი ვერ გადააკლვს, თუ იმას, რასაკვირველია, ნამდვალ რეალურათ წარმოდგენილი აქვს ცოლ-ქმრობის დიადი კავშირი, შვილების და ოჯახის გაბედნიერება და სამსახური. აი, თუ არის ასაწერი რამ, სწორეთ ეს ცხოვრება, რაული, დიადი ცხოვრება ნამდვილ ასაწერი იმიტომაც, რომ ამ ცხოვრებას, ამ ოჯახს, როგორც საკუთრებას, უღიადესი და უძლიერესი მნიშვნელობა და აზრი აქვს დღეს აღამიანისთვის...

მე მგონია, ქნ ეკატერინე გაბაშვილისას, რომელმაც ასე ბევრი იცის მდიდარი ღ შვენიერი ქართლის სოფლოელთა ცხოვრების მრავალი მხარეები, უნდა გამოეხატა გადუქარბებლოთ ეს ყოველდღური ცხვრება და ზომიერებას, რომელიც აძლევს ლაზათს და სიცოცხლეს მხატვრობას, არ უნდა გადასცილებოდა, არ უნდა ეღალატებია იმისთვის...

(შემდეგი იქნება.)

ხომელი.

## ილია ჭავჭავაძე და ილია ხონელი.

ბოდესაც არჩევნები გათავდა, ილ. ხონელი თავის ქალაღებს დაუბრუნდა და ისევ ფელეტონების წერას შეუღდა.

მაღე ხონშიც ჩამოვიღა დასასვენებლოთ. ზაფხულს იგი ყოველთვის თავისიანებში ატარებდა. ერთი კვირაც არ გასულა, იქ ივ. მაჩაბლის წერილი მოუვიღა და ვრცელი, მისგან შეღგენილი „დოკლადნაია ზაპისკა“ საკრედიტო კანცელარიაში წასადგენათ, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო ილია ჭავჭავაძის საქმეები, არჩევნების დროს.

წერილში ივ. მაჩაბელი თხოვდა ილ. ხონელს, გადაეთვალეირებია მას ეს მოხსენების წერილი და თვითაც მაღე ჩასულიყო თფილისში. ილიკოს საშინლათ ეწყინა ივ. მაჩაბლის წერილი. იგი ამბობდა: ახირებულია ჩვენი კაცის ბედი! თუ რამე ჩაუჯდა თავში, მერე, იმის მოშორება არ იქნება. ივ. მაჩაბელი ამ საქმეს გადაყვება და წყენით დაუმატა: „მაჩაბელს გონია, ჩვენ მისთვის ვიყავით ილია ჭავჭავაძის წინაღმდეგი, რო მისთვის ბანკის თავმჯდომარის ადგილი გვეშოვნა!“ საზოგადოთ უნდა შევნიშნო, რომ ილ. ხონელს არ მოწონდა ივ. მაჩაბლის დაჯინებული სურვილი ბანკის თავმჯდომარის ადგილის დაკავებისა...

ვინც უნდა იყვეს თავმჯდომარეთ, ოღონდ ილია ჭავჭავაძე ნუ იქნება, ამბობდა იგი. ილია სარგებლობს ბანკის თავმჯდომარის ადგილით და იქიდან წვდება ყველა ქართულ დაწესებულებას. ილია ჭავჭავაძე იმდენათ მავნებელი არ არი, რამდენათაც მისგან ჩაყენებული კაცები, სხვა და სხვა დაწესებულებაში. მთელი ქართველი საზოგადოება ერთ მებატონის ოჯახს წარმოადგენს. რასაც მებატონე ბძანებს, მისმა ხელქვეითებმაც ის უნდა ასრულონ... ილია ჭავჭავაძის ჩამოღებით საქართველოს ჰაერი გაიწმინდება, იტყოდა იგი და ილია ქართულ მწერლობას დაუღებს გულს“.\*)

\*) ილ. ხონელი და მასთან ზოგიერთი ქართველი მწერალი და მოღვაწე გულით მოწადინებული იყო, რო მოწოდებით ისეთი დიდი საჭრო მწერალი, რო-

ივ. მაჩაბლოს უვზო უკვლოდ დაკარგვამ ილ ხონელს თავ-ზარი დასცა, საშინლა უწყინდა.. იმას არ ჯეროდა არც ერთი ვერსია მისი დაკარგვისა, იმ დროს ხალხში გავრცელებული ილია ხონელი უფრო იმ აზრისა იყო, რომ მაჩაბელს ავთომყოფობით, გვერდის ტკივილით, მობეზრდა სიკოცხლე და შტკვარში გადავარდა... ახლა თვალა გადავავლოთ ილია ჭავჭავაძის მოქმედებას, რას შვრებოდა იგი, როგორ გძნობდა თავს.

ივანე მაჩაბლის პარტიის დამარცხების შემდეგ, პოეტი გამარჯვების დღესასწაულებს იხდიდა. ამდენხანს უძრავი, „ბურთივით რგვლი“ პოეტი, გაქაბუკდი, ამოძრვდა.. იგი ახლა ყველგან ჩდებოდა. მისი სიხარული და შვენება ბედნიერი მოთამაშის სიხარული იყო. ირგვლივ ამ წარჩინებულ კაცს ყველა მოხიბლული, დამორჩილებული ყავდა. ივ. მაჩაბლის უსარდლო ჯარი კი უკან იხევდა უვზო უკვლოდ იფანტებოდა. სიკოცხლია და მოქმედების ნიშანს იგი მხოლოდ ერამანეთის კინკლაობასა და შეცდომის დაბრალებაში იჩენდა... პოეტი მოვრალი იყო გამარჯვებით. მარა მხოლოდ დიდთგამოცთილი თვალი შენიშნავდა, რომ პოეტის ბედნიერება მანდამინც სარული არ იყო. მისკენ არ იყო საზოგადოების სრული

გორც ილია იყო, სრულიათ ჩამოცლოდა ბანკს და მუელი თვისი მდიდარი არსებით მისცემოდა მხოლოდ და მარტო ქართულმწერლობას. მეც ასე ვფიქრობდი უწინ.

ყოველი თვალსაჩინო ცხოვრების ფაქტი ჩვენ ისტორიულათ, სოციოლოგიური მეთოდის დახმარებით, უნდა განვიხილოთ და განვსჭვრიტოთ, რომ გაირკვეს ქეშმარიტება და სიმართლე.

თუ ამ თვალსაზრისით გასაჯით სავანს, უნდა აღვიარო, რომ ილიკოც და მისი თანამოაზრენიც დიდათ ცდებოდენ.

ილია სხვაზე უფრო ღრმათ იყო ჩახედული ქართველების ცხოვრებაში და კარგათ იცოდა, რომ ქართული მწერლობა იმას ვერ არჩენდა. ჟურ. „საქართველოს მოამბე“ ხომ, უსახსრობისაგამო, დაიხურა, ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც შემდეგ „კრებულ დროების“ საქმე ფართედ და ევროპულათ დაიწყო, ისეთი მწერლები, როგორიც იყვენ ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი, გარს შამოიკრიბა. მარა საქმეს არაფერი ეშველა და ეს გენიოსი პუბლიცისტი

თანაგძნობა. მისი გამარჯვება იგივე დამარცხება იყო. მას აბრალებდენ სხვადასხვა არა საკადრის მოქმედებას, არჩევნების დროს. უწინაც ჩაედინა პოეტს ამგვარი საქმეები. მარა მაშინ არავის გამოუშვლავნებია, მხოლოდ ახლა გამოამხეურეს და ამის მიზეზი ილია ხონელი იყო, რომელიც კრებებზე მონაწილეობას არ იღებდა, მარა ყოველ დღე გაზეთში ამქლავნებდა პოეტის არა საკადრის მოქმედებას და ფართო საზოგადოებას აცნობდა...

ვინც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგი იყო ამ ბძოლაში, პოეტმა ყველას გადუხადა სამაგიერო, დარჩა მხოლოდ ხონელი, რომლის სახელი ბძოლის დროს პოეტს ერთხელაც არ უხსენებია თვის გაზეთში. მარჯვე დროს უცდიდა გამოცდილი ჟურნალისტი, რომ სამაგიერო გადაეხადა იმ წყენისა, რომელიც ხონელმა მიაყენა მას.

ეს დროც დადგა...

ამ დროს დასავლეთ საქართველოში ჩავსვენა საქართველოს ეკლესიის დიდი მნათობი, ეპ. გაბრიელი.

ილ. ხონელმა დაბეჭდა გაზ. „კავკას“ში, რომელშიაც მაშინ თანამშრომლობდა იგი, ფელეტონი განსვენებულ გაბრიელზე.

იგი დიდის ქებით იხსენიებდა გაბრიელს,

გამწარებული გძნობით გაშორდა თავის სათაყვანებელ საქართველოს, ბაირანის გულსაკლავი ბიტყვებით: **Вези мена куда нибудь,**

**Лишь не къ землѣ родной...**

სერგეი მესხი ხო სიყმაწვილეშივე ისხვერპლა ქართული მწერლობის უსახსრობამ. ნუღარას ვიტყვით აკაკიზე და გიორგი წერეთელზე...

აკაკი მე მინახავს ისეთ მდგომარეობაში, ურიასტანის დიდი მოძღვარივით, რომელმაც არ იცოდა, სად მიედვა თავი დასაძინებლათ და გაეთია ღამე ქალაქში...

შარშან ჩემ წერილებში მე ვწერდი ილიაზე, რომ „ბანკის თავმჯდომარეთ არ აერჩიათ, ერთ წელიწადსაც თავს ვერ ირჩენდა... როგორც გამიგონია, ეს თვის კარგს ნაცნობებში კნენინა ოლლა თადეოზის ასულს კიდევაც ეთქვა, ერთხელ. 1893 წ. ილიამაც თელავში ერთ ნადიმზე საჯაროთ თქვა: „თვით მე უნივერსიტეტელი გახლავარ და, ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშვიერი მოვეკვებიო“ (იხ. „ილია



როგორც დიდათ შესანიშნავ ლედელ-მთავარს და მქადაგებელს და გამოთქვამდა მწუხარებას, რომელიც გამოიწვია მისმა სიკვდილმა საზოგადოებაში. ფელეტონის ბოლოს, გაკვრით, ეხებოდა ავტორი გაბრიელს, როგორც აღმინისტრატორს, ეპარქიის გამგეს და აღნიშნავდა არა დადებითი მხარეს გაბრიელის ეპარქიის მართვისას. ფელეტონი დიდათ დიდი ნიჭით დახელოვნებით იყო დაწერილი. ხონელმა ნამდვილი მხატვრობა წარმოუდგინა მკითხველებს გაბრიელისა, როგორც ლედელმთავრისა, მქადაგებელისა და აღმინისტრატორისა\*). გაბრიელის ამღირსებებს ავტორი ეხებოდა იმ პატივით, რომელიც შეესაძებოდა გარდაცვალებულის ღვაწლს და მის ღირსებას. წერილმა დიდი, ძალიან დიდი ჩაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ვინც გაბრიელს იცნობდა; ყველა ამბობდა: ნამდვილი პორტრეტია გაბრიელისო...

ილია ჭავჭავაძემ ისარგებლა გაბრიელის გარდაცვალებით და საერთო გლოვით, რომ სამაგიერო გარდაეხადა ხონელისთვის. მან დაბეჭდა თავის გაზ. „ივერიაში“ მეთაური წერილი, რომელშიაც ამბობდა: „გარდაცვალება სათაყვანო ლედელმთავარი და ილია ხონელმა

\*) თუ სადმე ვიშოვეთ, „სხოვრების“ ფურცლებზე დავსტამბავთ ამ იშვიათის ნიჭით დაწერილს სტატას.

რედ.

ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი-პოეტი.“ „განთიადი,“ № 14, 1915 წ.)

მე სხვაზე ნაკლებ არ მესმის, თუ რა სალიტერატურო სოცხალ, უძლიერეს ძალებს წარმოადგენდენ ილია, აკაკი და ნიკო ნიკოლაძე საქართველოში. ჩვენი მწერლობის სამსახური ამათ იმის ნახევარიც ვერ შეძლეს, რაც უნდა გაეკეთებიათ...

მერე, ვინ და რა იყო ამის მიზეზი?

ჩემი აზრით, თუ საქმე ბრალზე მიდგება, ისევ ქართველ საზოგადოებას ედება უსაშინელესი ბრალი და მიზეზი ღრმად მარბია ქართველთა კულტურის დიდ ჩამორჩენილობაში...

ქართველთა ცხოვრება რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაიძრა ძლიერათ. მაშინ „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთა რიცხვმა 6000 გადააჭარბა. ახლა-კი „თანამედროვე აზრს“ და „სახალხო ფურცელს“ ცალკ-

იმასაც გაკრა თავის ქიანი კბილი. ჩვენ ვიცით მიზეზი მისი გულის წყრომისა“. ავტორი ბოლოს, იხსენიებდა ილ. ხონელის მამას, ლედელს ლუკა ბახტაძეს, რომელიც არ იყო კეთილ განწყობილებაში განსვენებულ გაბრიელთან.

ილია ჭავჭავაძეს როცა ცოდნოდა ნამდვილი მიზეზი ხონელის მამის და გაბრიელის განხეთქილებისა, დაჯერებული ვარ, არც მოიხსენებდა ამ ეპიზოდს გაბრიელის ცხოვრებაში, რომელიც მთელმა საქართველოს დასავლეთმა იცოდა და სრულიათაც არ უწონებდა გაბრიელს. ნამდვილი ამბავი ამ განხეთქილებისა ილიამ არ იცოდა. მას მხოლოდ გაეგონა, რომ ხონელის მამა და გაბრიელი არ არიან კარგ განწყობილებაში.

ილია ჭავჭავაძეს უნდოდა ეჩვენებია საზოგადოებისთვის: აი, რა კაცია ხონელი, მან გაბრიელიც არ დაინდო, ამის შემდეგ, ამის თანა მწერალს ჩემზე, როგორ დაეჯერება რამე... ილია ჭავჭავაძეს უნდოდა ამით გაექარწყლებია ის, რაც ხონელმა დაწერა მასზე...

როცა მოამზადა საზოგადოება ილ. ხონელის წინაღმდეგ, ილია ჭავჭავაძე გაემგზავრა ქ. ქუთაისს გაბრიელის დაკრძალვაზე დასასწრებლათ. იქ პოეტმა გულწრფელათ იტირა გაბრიელი, დასავლეთ საქართველოს საზოგადოებას თანაგძნობა გამოუცხადა და ნუგეში სცა, აღმოსავლეთ საქართველოს სახელით. ამის შემდეგ, პოეტი დღეოდ სადარბაზოთ

ცალკე 7000 ხელის მომწერიც ყავსო, ოურმე. მარა ესენი პარტიული ორგანოებია. უპარტიო ქართულ ორგანოებს ფონდები კი არა, ხელის მომწერნიც თითზე ჩამოსათვლელები ყავთ...

ბანკისთვის როცა თავი გაენებებია ილიას, რა უნდა ექნა?

იგიც სხვასავით ლუკმა პურის შოვნის ძებნას გადაყვებოდა და, რა თქმა უნდა, მოცალეობაც უფრო მოაკლდებოდა, დაწვრილდებოდა და, ვინ იცის, ასეთი სხოვრება სანამდი მიიყვანდა მას.

დღეს, როგორც მოგხსენებათ, კაპიტალისტური ხანა და დიდი საზოგადო მოღვაწის რთული ცხოვრების გათვალისწინებას დიდი ფიქრი, დიდი განსჭვრეტა და ღრმად შეგნებაც უნდა.

ქუთაისის მაღალ საზოგადოებაში, ყველას უცხადებდა თავის გულის წყრომას ილ. ხონელისადმი, რომელმაც ვითომ უდიერათ მოიხსენა განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსი.

ქართული ლიტერატურის დიდ მნათობს ჯერ კიდევ დარბაზობა არ ქონდა გათავებული, ისე ხონელის პასუხი მოვიდა მის მეთაურზე. ხონელი საშინელი სიმკაცრით და ზეუმრალეზელი ირონიით პირბადეს ხდიდა პოეტს, იგი უხსნიდა საზოგადოებას, რა ილიას ცრემლი, გაბრიელის ცხედარზე დანთხეული, ცრემლი-კი არ არის უნუგეგმო ჭირისუფლისა, არამედ ცრემლია ცოდვილისა, რომელსაც გაუგეს ყველაფერი და ხონელი კვლავ გამოთქვამდა თავის გულწრფელმ ღრმა წუხარებას, გაბრიელის სიკვდილით გამოწვეულს.

ამის შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს არაფერი დაუწერია თავის გაზ. „ივერიაში“. მარა მისი პარტია ათას გვარ ჭორს ავრცელებდა საზოგადოებაში ილ. ხონელზე და მის ფელეტონზე, გაბრიელის სიკვდილით გამოწვეულზე. ილია ჭავჭავაძე ჭეჭდა და ქუხდა ერთად ერთ ყოველ დღიურ ქართულ გაზეთ „ივერიაში“ ხონელის წინაღმდეგ, ხონელის ფელეტონის შინაარსი-კი არ მოყვანდა, რა მკითხველ საზოგადოებას თვით შეძლებოდა მსჯავრი დაედო ავტორისთვის.

ამის გამო, ილ. ხონელმა განიზრახა საზოგადოების დასაწყნარებლათ და ილია ჭავჭავაძისგან გამოწვეულ ბურუსის გასაფანტავათ, დაებეჭდა თარგმანი იმ ფელეტონისა ჟურნალ „კვალში“.

თარგმანს წინ წაუძღვანა ილია ჭავჭავაძისადმი ღია წერილიც.

აი, რასწერდა ხონელი „კვალის“ რედაქტორს:

ქ-ნო რედაქტორო!

„ერთათ-ერთი ყოველ დღიური ქართული გაზეთის „ივერიის“ რედაქტორის გამოლაშქრებამ მე სრულიათ უიარაღოთ დამტოვა. მასმენენ და მახეზღებენ ქართველ საზოგადოებას. მე-კი საშვალეზაც არა მაქვს ვიმართლო თავი. რათგანც მე კარგათ ვიცნობ ჩემ მო-

პირ და პირეს და არავითარ რაინდულ ქცევას მისგან არ მოველო და არცა მაქვს საფუძველი ველოდე, რათგანც, ერთი სიტყვით, ამ წერილის „ივერიაში“ გამოქვეყნება შეუძლებელია, უმორჩილესათა ვთხოვთ, მისცეთ მას ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ილია ხონელი.

„კვალის“ რედაქციის შენიშვნა: ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რა ლანძღვა-გინებაზე აგებული კამათობა ლიტერატურისა და საზოგადოების დამცირებაა. მხოლოთ ამიტო ვაძლევთ ადგილს ბ. ილ. ხონელის წერილს, რათგან მას ქართველი საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლათ სხვა საშვალეზა არა აქვს.

აი, თვით წერილიც ილ. ხონელისა:

ღია წერილი.

ბატ. ილია ჭავჭავაძისადმი.

მოწყალეო ხელმწიფე!

„ივერიის“ მე 29 და 32 ნუმრებში თქვენ დასტამბეც: რამდენიმე წერილი, რომელშიაც უშვერი სიტყვებით, თქვენი აგრეთ დამასურათებელი ლანძღვა-გინებით, მომიხსენიეთ მე და ჩემი ფელეტონი „კავკას“ში, ახლად განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ჩემი სიტყვები, რა ყოველ ღირსებებთთან ერთად „უუგანათლებულეს და უუნჩიერეს არქიელს“ თან ახლდა ცოტა რამ ნაკლულეზანიც; რომ იგი, რ აგორც ფიცხი და მკაცრი ხასიათის პატრონი, მოკლებული იყო ნამდვილი აღმინისტრატული პირის თვისებას, თქვენ განმარტეთ ისე, რა, თითქო მე მისი დამცირება, შებლაღვა, მისი შეურაცხება მდომოდეს და თან ისიც დაუმატეთ, რა ჩემი ამ გვარი საქციელი აიხსნება პირადი მტრობით, უგვანი სურვილით დავაბეზლო ქართველი საზოგადოება რუსის მართებლობის წინაშე (?!). მე რასაკვირველია, სამარცხვინოთ მიმაჩნია ვიმართლო თავი ამ ცილის წამებისგან. თქვენც და მეც ძალიან კარგათ ვუწყით, რა კოკიდან მომდინარობს ეს მტნარი სიკრუვე; თქვენც და მეც საკმაოთ მიხვდარი ვართ, თუ, რა მიზეზებისა გამო, ტელეგრამის შემთხვევლს,

კახეთისა და ქართლის ერთიმეორეზე წამქეზებელს, „მოსულთა“ დევნის ზღაპრის მომგონს; „დიდიდენდისთვის“ თავდადებულს და ყველა მის მოპირდაპირეთა მლანძღველს, დაჭირდა ეს ახალი ფანდი, ეს ახალი ცილის წამება. ამ გვარი საქციელი თქვენგან, არ ახალია, ძველია“.. უაზრო სიტყვების წამოსროლა, გაფანტაკოსებული წასევა და წაქეზება, ეს ხო თქვენი იარაღია, რომლის ხმარებაში არა გყოლიათ, არა გყავთ და არც გეყოლებათ ბადალი. მარა მე მიანიც ვფიქრობდი, რომ არი რაიმე საზღვარი თქვენი კადნიერებისთვის! მე მეგონა, რომ იგი კუბო, რომელიც ასვენია ამ უამათ ქუთაისის საკათედრო სობოროში, იმ კაცის სახელი, რომელიც იმ კუბოშია, იმ საზოგადო მოღვაწის პატივი, რომელიც ღრმად ჩანერგილია ჩვენს და მრავალთა გულში,-მე მეგონა, რომ ეს წმიდა-წმიდათა ალაგმავდა თქვენს თავგასულობას, არ მოგცემდათ ნებას გამოგეყენებიათ იგი ფარათ და ხმლათ წვრილმანი ანგარიშების გასაწმენდათ. თურმე, შემცდარვარ!.. თავგასულ შურის ძიებას არ ჩვევია არავითარი რიდი, არავითარი წესი. თურმე, იგი უსაზღვროა. მაშ, დეე, ისევ საზოგადოებამ დააფასოს თქვენი ქცევა, მოგისაჯოს ჯეროვანი განაჩენი! მანვე გადაწყვიტოს, რა სახელი ქვია მწერალს, რომელიც ვეებერთელა წერილიდან ამონაგლეჯ ორიოდ სტრიქონზე ამყარებს ჯაშუშური სიმარჯვით გამოკვანძულ ბრალდებას? .. ხოლო, რაც შემეხება მე.. მარა თქვენც ხო კარგად იცით, თუ რას ფიქრობდა და რას ფიქრობს თქვენზე, თქვენი კარგათ მცოდნე, თქვენი მოქმედებათა და მიდრეკილებათა ღირსეულათ დამფასებელი, თქვენი არა პატივის მცემელი ილია ხონელი (იგივე ბახტაძე). შემდეგ დასტამბულია თარგმანი „კავკაზ“ში მოთავსებული ფელეტონისა: „გაბრიელი, ებისკოპოზი იმერეთისა“.

ამით ჩვენ ვათავებთ ილ. ქავკაზაძის და ილ. ხონელის შორის ატეხილ პოლემიკაზე საუბარს.

ლ. ბახტაძე.

(შემდეგი იქნება.)

## მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.\*)

ამ საგალობლებს გალობენ გლეხებიც პურის მკის, ყურძნის მოკრეფის და სხვა მუშაობის დროს. სადილის დროს, დიდ ძალღეროს სვამენ. მარა მთერალი, ან წესიერების დამრღვევი არას დროს არ მინახავს. ქართველები დიდი და გასაცვიფრებელი ცოდნის პატრონნი არიან, განსაკუთრებით, ლოლიკის სფერაში. მათი მარხვა და ზომიერება საქმლის მიღებაში პირდაპირ გასაცვიფრებელია“ (ხ6).

ამას დაეუმაჯოთ საღვდლოების უნარი, მისიონერობაში, ქრისტიანობის გავრცელებაში

\*) იხ. „სხოვრება“, № 9.

ხ6) პატ. მაკარ მოვიდა საქართველოში (იმერეთი) 1664 წ. და დაყო აქ თითქმის ორი წელიწადი. მისი აღწერილობა ეხება იმერეთს და, განსაკუთრებით, სამეგრელოს. მართალია, მაკარი მოგვითხრობს, რო ვითომ მას გადაენათლოს მთელი სამეგრელო, მარა, მისგან ზემონათქვამის შემდეგ, განა წარმოასდგენია, რომ ამნაირი მორწმუნე, ღვთის მმოსავი და ეკლესიის დადგენილებათა აღმასრულებელი ხალხი თლად მოუენათლავი ყოფილიყოს?

მაკარს, როგორც აღენიშნეთ, ამით უნდოდა დაემტკიცებია საქართველოს, საღვდლო კრებულთა უფარვისობა და საქიროება ანტიოქიის პატრიარქების დრო გამოშვებით საქართველოში მოგზაურობისა, რასაც მოითხოვდა მათი მატერიალური ინტერესები. ამისთვის ადგილობრივ საღვდლოების დასამიროებლათ ის არ ზოგავდა ეპიტეტებს. მარა, თუ საღვდლოება უფარვისი, უფიცი და დაუდევარი იყო, მაშინ იბადება საკითხი, საიდან გაჩდა ის ღრმა სარწმუნოება, კეთილ-ზნეობა ხალხისა, სოდნა ძილის-პირკატევისი, რომელზეც მოგვითხრობს მაკარი? რით დაიმსახურა საღვდლოებამ ის ღრმა პატივისცემა ხალხისა, რომელმაც ასე გააცვიფრა პატრიარქი? განა უნეთ, უფიცი და დაუდევარ საღვდლოებას შეიძლება ქონოდა ხალხზე ამნაირი კეთილი გავლენა? ექვს გარეშეა, რო მაკარის საღვდლოების წინააღმდეგ ამხედრებას ქონდა სახეში ზემონსენებული მიზანი. ამას ასაბუთებს ის ვეცხლმოყვარობა, რომელიც გამოიჩინეს პატრიარქებმა თავიანთ მოგზაურობის დროს და რომლისთვის ისინი არ ზოგავდენ და არ არჩევენ საშვალებას. პატრიარქების ამ მხრივ არა საკადრის საქციელზე რუსეთში იხ. პროფ. კაპტერევი. *Характеръ отношеній Россіи къ правосл. Востоку въ XVI—XVII ст. изд. 2. Сергіев посадь 1914 г. гл. 117 და 118.*



მთიელთა და, საზოგადოთ, მამადანთა შორის 57), ღვედელთმთავართა ხალხთან სიახლოვე, მათი განუწყვეტელი მოგზაურობა ებარქიებში მორწმუნეთათვის სარწმუნოებრივ დარიგების მისაცემათ 58) და ნათლად წარმოვიდგინთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველოს ეკლესია მე-17—18 საუკუნოების განმავლობაში.

ამაზე მეტს არას ვიტყვი. სიტყვა ისედაც გაგვიგებელდა. მარა, იმედია, ამ პირდაპირი საგნის გვერდის ახვევისთვის მკითხველი არ დაგვემღურება, რათგან მოკლეთ ზემონათქვამი აწინდელ მომენტის საკითხია. დავუბრუნდეთ ისევ იმ ფაქტებს, რომელთაც იძულებული გვხადეს წამოგვეყენებინა ზემოხსენებული საკითხი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობაზე მეჩუადმეტე და შეთვრამეტე საუკუნოებში და, რომელნიც თვით ამ საკითხის გაშუქებას ხელს უწყობენ.

ჩვენ არ ვიცით, რაში გამოიხატა ურწმუნოება ბატონიშვილის არჩილისა. მარა თვით მისი ღვიძლი ძმები, კათალიკოზი იოსებიდა მეფე სოლომონი იძულებული იყვნენ დაეფლათ მისი გვამი ეკლესიის გარეთ, ქრისტიანული წესის აუსრულებლათ 59). შეიძლება იფიქრონ, რომ აქ მნიშვნელობა ქონდა იმ უთანხმოებას, რომელიც სუფევდა არჩილის და მეფე სოლომონის შორის და, რომ ეს გარდაწყვეტილება მოხდა მეფის სურვილის დასაკმაყოფილებლათ. ეს რომ ასე არ ყოფილა, ჩანს მეორე მაგალითიდან. არჩილთან ერთად ურჩ ექნა სოლომონ მეფეს მისი ერთად ერთი ვაჟიშვილი, ალექსანდრეც. ორივემ მიმართეს ქართლ-კახე-

თის მეფის, ირაკლი მეორის მფარველობას 60). სოლომონმაც, სამაგიეროთ, მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ალექსანდრე ბაქარის ძე, — ქართლის ტახტის მძიებელი, — და ალუთქვა მას შემწეობა ქართლის დაპყრობაში 61). შემდეგში, სოლომონი და ერეკლე შერიგდნენ. ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე რაჭის გზით გადავიდა რუსეთში, ხოლო ბატონიშვილი ალექსანდრე, სოლომონის ძე დაბრუნდა იმერეთში. ამ უკანასკნელმა ქართლში ყოფნის დროს, შეერთო „ცოლად ასული ევგენ აბაშიძისა, რომელიცა არა სთნავდა მეფესა სოლომონს“. ამისთვის „ჩასრულსა ალექსანდრეს — მეფის სოლომონის ძეს-იმერეთს, გააშეზინა მამამან თვისმან ცოლი, ევგენ აბაშიძის ქალი, ვინაითგან მტერ იყო აბაშიძეებისა, და შერთო ბერი წულუკიძის ქალი, დარეჯან და აქორწინა“. ერთი წლის შემდეგ, მოვიდა ალექსანდრე. „ხოლო საღვდლოთა კრებათა არა აუთლეს მეფესა დამარბვა ძისა თვისისა, ვინაითგან კრულ ყვეს იგი განტყვებისთვის ცოლისა და უჯეროისა ქორწინებისთვის 62), თუმცალა მეფე ევედრა მრავალთა ებისკოპოზთა, გარნა არა უსმინეს მას და ერთისა ღვედლისა წინაგაძლოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ 63). მაშასადამე, უადგილოა იმაზე ფიქრი, რო ვითომ არჩილის გვამის დასაფლავება ქრისტიანულ წესის აუსრულებლათ საღვდლოებას გადაეწყვიტოს, მეფე სოლომონის ძალდატახებით.

უფრო ნათლად დასასაბუთებლათ იმისა,

60) ბურნაშვი. Картина Грузии или описание полит. состоянія царства Картал. и Кахетинскаго (თფ. 1896 წ. (გვ. 21 და ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეშვილისა (თფ. 1913 წ.) გვ. 112.

61) ბატონიშ. დავითი. მოხს. თხზ. გვ. 26.

62) ამ ქორწინების უჯეროება იმაში მდგომარეობდა, რა ბერი წულუკიძის და, გულქანი, იყო ცოლი სოლომონ მეორისა (ამაზე იხ. ზევით: „განთიადი“ 1915 წ. № 10, გვ. 32).

63) ბატონიშვილი დავითი. მოხს. თხზ. გვ. 27. ბატონიშ. ალექსანდრე, როგორც ჩანს, კახის მონასტრის ერთ ხელნაწერზე მინაწერიდან, რომელზეც ქვემოთ გვექნება მოტანილი ცნობა, — მიიძვალა 1780 წ. მწიფობისთვისა.

57) პროფ. მარი. მოხს. წინასწ. კრების პროტოკოლები. ტ. III, განყ. II, გვ. 200; პლ. იოსელიანი. Зак. В. 1845 წ. № 14, გვ. 126; ხახანაშვილი გუჯრები. გვ. 68—69 და მრავალი სხვანი.

58) ს. კაკაბაძე. სამართალი კათალიკოზებისა. (თფ. 1913 წ.) გვ. 1—6 და Акты арх. ტ. I, 46—47.

59) Археогр. акты 4, 400.

რო საღველოებს ხსენებულ საუკუნეების განმავლობაში მალა ეჭირა დროში ეკლესიის დამოუკიდებლობისა, — რომედგრაათ დევნიდა საეკლესიო კანონებს და მორღვევთა, რომ თავის მოვალეობის ასრულების დროს, პირადობას არ იღებდა მხედველობაში და არ ერიდებოდა ამა სოფლის ძლიერთა წყენას და რისხვას, ამის, ვიმეორებ, დასასაბუთებლად მივამკაცე ვკითხველის ყურათლებას მეორე ზემოთ მოხსენებულ მაგალითს.

როგორც ზემო მოვიხსენეთ, იმერეთის კათალიკოზი ეწინააღმდეგებოდა ქორწინებას გიორგი ლიპარტიანის და გიორგი აბაშიძის ქალის-თამარის შორის, რათგანც მათ შორის ნათესავობა იყო. ამისთაობაზე 1701 წ. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი აღრი ანოპოლიდან წერს იმერეთის და აფხაზეთის კათალიკოზს-გრიგოლის, „ნუ დაუშლი და ნე. ბა დართე, რომ გიორგი ლიპარტიანმა შეერთოს გიორგი აბაშიძის ქალი-თამარიო“, თუმცა თამარი ლიპარტიანისგან მირონ ცხებული იყო. დოსითეოზი ამართლებს ამ ქორწინების კანონიერობას იმ მოსაზრებით, რის „გიორგი ლიპარტიანს მარტო მირონი უტყია თამარისთვის და წყლით მომნათლველი მას სხვა ყავდაო“<sup>(64)</sup>.

ამბერი.

(დასასრული იქნება)

### პართული პრესა.

პუბლიცისტი ანი თავის საამდროო წერილებში („თან. აზრი“ №26.) არკვევს ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებრივ პარტიების იდეალებს იმ პოზიციების მიხედვით, რომელიც მათ დაიჭირეს ამიერ-კავკასიის საერობო თათბირზე. ავტორს მოყავს ამონაწერები ფედერალისტების გაზეთიდან და შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს:

„გამოდის, რომ სამრეწველო რაიონში, ე. ი., სამრეწველო ქვეყანაში სოფელი უფრო ასაზღოებს ქალაქს, ვინემ აგარულში. და, რამდენათაც ჩვენი ქვეყანა ოდესმე სამრეწველო იქნება, ცხადია, სოფელი აქ მუდამ უნდა ბატონობდეს ქალაქზე.

პრინციპი მეორე. ქალაქის სიმდიდრის „პიოველი წყარო სოფელია“, ამტკიცებენ ფედერალისტები. ნამდვილათ-კი საყოველთაოთ ცნობილია, რომ დღეინდელი სიმდიდრის „პიოველი წყარო“ მრეწველობა და ადებ-მიცემობაა. დღეს კაპიტალისტური წყობილება, კაპიტალის მეფობა, სოფელი და მეურნობა ამ მოძრაობას უკან მისდევს და მას სავესებით მორჩილებს. ფედერალისტები მთელ დღეინდელ ურთიერთობას ერთიანთ აბრუნებენ. თანამედროე სამოქალაქო წყობილებას სოფლის წყობილებათ აღიარებენ, სამოქალაქო კულტურას სასოფლო კულტურათ ასაღებენ, რომ ამით საერობო თათფირის თავდა-აზნაურული სულისკვეთება დაასაბუთონ.

როგორც ხედავთ, ეს ანტი-ბურჟუაზული რეაქციური პრინციპებია, მემამულეთა კლასის იდეოლოგიის გამოხატულება. ამ დროშის ქვეშ იბძვიან მთელი ქვეყნის აგარაიები...

ამ საგანზე ვლაშობდით. ძველ „ივერიელებთან“, ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ და, თუ დღეს ეგვემეორდება, ცხადი არ არი მაშინდელი თავად აზნაურული სოფლური დროშის ქვეშ დღეს ხელახალი თავის მოყრა? საერობო თათბირი და მისი ფედერალისტების მიერ-დასაბუთებული პრინციპალური პოზიცია სავესებით დადგა ძველი „ივერიის“ სოფლურ-მეურნულ სოფლმხედ ელობაზე. მარა, თუ ეს მაშინ მიეტყვებოდათ ძველ მოღვაწეთ, ეს არ მიეტყვება ახალთ, რომელთა წინ სრულიათ ახალი ცხოვრება გადაშლილი“.

შემდეგ, ავტორი ეხება „საქართველოს“, მოყავს აქიდან ამონაწერი, საიდანც გამოყავს „საქართველოს“ შეხედულება თანამედროე ეკონომიურ ცხოვრების მიმართულების შესახებ. ბოლოს, ამ თვალსაზრისით, ავტორი აღარებს და აერთებს, როგორც ფედერალისტებისა, ისე ნაციონალ-დემოკრატების კულტურულ-ეროვნულ ღირებულებას. ბნი ანი წერს:

„ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს ის, რომ „საქართველოს“ წამს ბურჟუაზიის და ქალაქის უაღრესობა სოფელზე და თ.-აზნაურობაზე. მაშასადამე, ის პრინციპიალურათ ემზრობა ბურჟუაზიის იდეოლოგიას, წინააღმდეგ აგარაულისა და, თუ მაინც მხარს უჭერს საერობო თათბირის აგარაულ უმრავლესობას—ამის მიზეზია, არა სოციალური, არამედ „ნაციონალური“ მომენტი, ე. ი., თავდა-აზნაურობას დაეტაკა არა ქართველი ბურჟუაზია, არამედ სომეხის. მართალია, ეს ნაციონალური მომენტი მეტათ ვიწრო შინაარსისაა, აქ ნაციის ინტერესი არა თუ დასულია, პირიქით, ის სხვერპლათ მიტანილი: მემამულეთა საკურთხვევლზე, ვინაიდან ნაციის ინტერესი მოითხოვს მისი მოქალაქობრივი ელემენტების გავითარებას და ხელის შეწყობას და არა მასი სოფლის გამოყრებაში ჩაჭედას. თათბირმა

64). ძველი საქართველო ტ. II, განყ. მესამე, გვ. 30-და 31.

-კი ერთნაირათ შებოჭა, როგორც სომხის, ისე ქართველი ბურჟუაზიის და მით ითამაშა ანტინაციონალური როლი. მარა „საქართველოს“ პოზიციის უფრო პრაგმატული და კულტურულია, ვიდრე პოზიციის ფედერალისტებისა. ისინი პრინციპიალურათ სწობენ ქალაქის უპირატესობას სოფელზე მაშინ, როდესაც ესენი პრინციპიალურათ ამას უარყოფენ და წმინდა წყლის აგარაზმს ქადაგებენ. მაშასადამე, მუშა-დემოკრატიას კიდევ შეუძლია რამდენიმე მანძილზე ერთათ წავიდეს ნაციონალ-დემოკრატიასთან, თუნდაც ძირითად სამოქალაქო პრინციპების აღიარებაში, ხოლო ფედერალისტებისგან თავიდანვე ნსხვავდება. აქ ჩვენ შორის განხეთქილება თვით ძირითად პრინციპებში. მათი დღევანდელი პოზიციის არი პოზიციის ყურნალი და გაზეთი „ივერიის“, ილ. ქავჭავაძის რედაქტორობით“.

### აკაკის ბიბლიოგრაფია.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დავალებით, ბ-მა ს. გორგაძემ ამ დღეებში დაამთავრა და საზოგადოების საბჭოს გადაეცა აკაკის ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს, ავტორს ხელთა ქონებია 500-მდე ავტოგრაფი აკაკი წერეთლისა, 60-მდე დროული გამოცემა (ყურნალ „ცისკრიდან“ დაწყებული—გაზეთ „საქართველო“-მდე), 10-მდე ალმანახი და ხელსამძღვანელო, და 30-მდე აკაკის თხზულებათა ცალკე გამოცემა. ამ წყაროებით სარგებლობის დროს, გამორკვეულია, რომ აკაკის ქონებია შემდეგი ფსევდონიმები: ს—ლი, წ., იმერელი, ალექსანდრე სამარაძე, Z, გაჩეჩილიძე, ლეონ ვამეხისძე დადიანი, სხვიტორელი, ვერ მიცანი ნინიაო, გიორგი ქართველიშვილი და ჩიხონანი.

ბიბლიოგრაფიაში შეტანილია, როგორც ქართული, ისე რუსული ნაწერები უკვდავის პოეტისა.

ბიბლიოგრაფია ორ ნაწილათ განიყოფა: 1) „ქრონოლოგიური სია“ და 2) „ანბანური საძიებელი“. პირველს უჭირავს 250 გვერდიანი თაბახისა, ხოლო მეორეს—60-მდე გვერდი, იმავე ფორმატისა.

ქრონოლოგიურ სიაში 1500-მდე ნუმერია მოთავსებული, რომელთა შორის ზოგიერთი

ნუმერი რამდენსამე ნაწარმოებს შეიცავს (მაგალითად № 1308 „მოსწრებული სიტყვა-პასუხი“ 61-ს ნაწარმოებს შეიცავს, „წვრილ-წვრილი ამბები“ 16 ნაწარმოებს და სხვანი). ეს ნაწარმოებნიც რო ცალ-ცალკე ვიანგარიშოთ, აკაკის თხზულებათა საერთო რიცხვი ამ ბიბლიოგრაფიაში 2000-სს გადააქარბებს. ამათში, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, 500-მდე ნაწარმოები ავტოგრაფადაა დარჩენილი, რომელთა ერთი ნაწილი, თითქმის ნახევარი, დღემდე დაუბეჭდავია.

როგორც ბიბლიოგრაფიიდან ჩანს, აკაკის შემოქმედება ფრიად ადრე დაწყებულია: სახელდობ, მგოსანი ექვსი-შვიდი წლისა ყოფილა, როცა შაირების გამოთქმა დაუწყია (1846 წ.), შვიდი მისი შაირი ამ ბიბლიოგრაფიაშიადაა აღნიშნული. აკაკის პირველი თარიღიანი ლექსი დედა-მისს შეეხება (აკროსტიხი: „ეკატერინე“) და 1852 წელს არი დაწერილი, ე. ი., როცა ავტორი თორმეტი წლისა ყოფილა<sup>1)</sup>. პირველი მისი ნაბეჭდი ნაწარმოები ლერმონტოვიდან ნათარგმნი „რტო პალესტინისა“ დათარიღებულია 1858 წლის, 9 აგვისტოს რიცხვით და დაბეჭდილია ყურნალ „ცისკარში“, 1858 წ. № 11. ხელს აწერს ფსევდონიმით „ს-ლი“. უკანასკნელი მისი ნაწარმოებია „ომი“, რომლის წერის დროსაც ავტორს დამბლა მოუვიდა (1914 წ.). ეს ნაწარმოები ჯერ არ დაბეჭდილა.

ბიბლიოგრაფიაში დაწვრილებით ნაჩვენებია, როგორც ნაწარმოებთა ავტოგრაფები, ისე დრო და ადგილი დაბეჭდისა და, თუ რამდენჯერ დაბეჭდილა ნაწარმოები.

როგორც გადმოგვცეს, ამ ბიბლიოგრაფიას „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ აკაკის თხზულებათა სრული გამოცემის ბოლოს დაბეჭდავს (ცალკე ტომათ). მანამდე-კი მსურველთ შეუძლიათ თვით „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ჩსარგებლონ ამ ბიბლიოგრაფიით.

<sup>1)</sup> ეს ლექსი და შაირები დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ 1904 წელს.



# სახელმწიფო დუმა.

(16 მაისის სხდომა. \*)

## დებ. აბ. ჩხანკელიძის სიტყვა.

მოგვყავს სოც. დემ. დეპუტატის აკაკი ჩხენკელის სიტყვა, რომელიც მან 16 მაისის სხდომაზე წარმოთქვა და მხოლოდ რამდენიმე შემოკლებით დართო ნება სახ. დუმის თავჯდომარემ იგი გამოექვეყნებიათ.

სოც.-დემ. ჩხენკელი უსაყვედურებს დუმის უმრავლესს და ამბობს: კანონპროექტი, რომელიც ნაყოფია სახელმწიფო დუმის უმრავლესობისა და მთავრობის შორის შეთანხმებისა, სრულიათაც არ წყვეტს იმ საკითხს, რომელიც დღეს ქვეყანას უდგას წინ გადასაჭრელათ. იგი აწვრილმანებს მას რაღაც უმნიშვნელო, „ვერმიშელურ“ საჭიროებებზე, რის დასაკმაყოფილათაც მიმართავენ ხალხმე არსებულ რეჟიმის გაშიშვლებულ ბაღში საესე იარის „დაბაჩინებას“, ან და მალამოს წაცხებას. მაშინ, როცა მთელი ქვეყანა პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უუფლებობაში იმყოფება, მაშინ, როცა მთავრობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე აშკარათ მიაქვს იერიში, მაშინ, როცა ომი ბძოლის ველზე დღითი დღე სცელავს აუარებელ ახალგაზღვებს, და აქ-კი, ხალხი სასურსათო კატასტროფის წინაშე დგას,— თქვენ, ბატონებო, ისევ და ისევ ძველებურათ საკანონმდებლო წაჯექ-უკუჯექობის ქაპანის წვევას არ იშლით.

ასე წოდებული საადმინისტრაციო გარანტიის მოსპობა ერთ ბეწვ გაღუნენასაც არ მოახდენს მთავრობის მთელ ძალადობაზე, რომლისგანც უმთავრესათ კენესის ხალხი. ამ კანონპროექტით თქვენ გინდათ დაგვანახვით, რომ ებძვით წვრილ მოხელეთა იერარქიას მექრამეობას მაშინ, როცა ქვეყანა არ არი დატული მაღალ სფერებზე წამომჯდარ სხილ მოხელეებისგან. თქვენა ცთილობთ აგძნობინოთ პატარა მოხელეებს კანონის წინაშე პასუხის-

მგებლობა. მარა ვინ უნდა აგძნობიოს პასუხისმგებლობა იმ ვაჟბატონებს, რომელნიც, აი, აქ მთავრობის სკამებზე სხედან?

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რო ჩვენ „მადლობა ღმერთს, პარლამენტი არა გვაქვს“ და, ამიტომაც, სამინისტრო არაა პასუხისმგებელი ხალხის წინეშე. ამ კანონპროექტის მიღებით არ მოისპობა არც ერთი მესხედი იმ უფლებათა დარღვევისა და უკანონობისა, რომლებსაც თითოთულ საათში მთავრობის აგენტები ჩადიან. მექრთამობა, რომლის შესახებაც პროექტი სპეციალურათ ლაპარაკობს, — ეს ორგანიული სენია ბიუროკრატული წესწყობილებისა, რომელიც თითონვეა ყოველივე გარანტიის და მოქალაქის უფლების მომსპობი; რომელიც ხალხს „საპეუნოთ“ ხდის, ტყავს აძრობს და არ აძლევს საშვადლებას, რო მან თვისი თვით-მოქმედება გაავითაროს. აი, ის ნაყოფიერი ნიაღვი, რომელზეც აღმოცენებულა მექრთამეობა. თქვენ ხო რუსეთში ვერ მოძებნით ისეთ ადამიანს, რომელიც ფიქრობდეს, რო შეძლება აქვს იცხოვროს ქრთამის მიუტყემლათ, უკანონოთ, თუ გინდა ის ძლიერ რეაქციონურიც მიყოს, არ შეუძლია გაძლოს, თუ გინდ თვით პურობელობითი ბიუროკრატულმა წესწყობილებამაც-კი. ხოლო კანონები, რომელსაც ემორჩილებიან უბრალო მომაკვდავნი, არ არი სავალდებულო მაღალ საფეხურზე მდგარ მოხელეთათვის. რამდენათ მოხელე მალა დგას, იმდენათ სუსტი დამოკიდებულებაა „მისა და კანონს შორის. მაღალი მოხელენი ჩვენში, — არა თავისუფალ სახელმწიფოში, — თავისუფალი მოქალაქენი არიან. გადაჭრით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რო ქრთამის 50 პროცენტი ეძლევათ მოხელეებს მხოლოდ იმ საქმეების ასასრულელობათ, რომელთა ასრულებასაც კანონი ავალდებობს.

დღეინდელმა უმაგალითო ომმა, მექრთამობის ჩვეულებრივი ზომები, ერთბაშათ ცარცვა-გლეჯათ აქცია. მთელ სახელმწიფოებრივ მექანიზმში არ არის არც ერთი პატარა ქანრაკი, რომელიც ყოველ წუთს „წასმასა“ და „დაღობას“ არ თხოულობდეს. კირის დროს ნამდვილი ლხინია! უშვებენ და ანადღე-

\*) „Русск. Вѣд.“ № 115.

ბენ ნესხის საშვალეობით მილიონებსა და მილიონარდებს, რომლის გადახდა მომავალში რამდენიმე თაობას დაჭირდება. მაშინ, როცა 25<sup>0</sup>/<sub>10</sub> ყველა ამ ფულისა იხარჯება ქრთამებსა და მოხელეთა წაქეზებაზე. მე არ ვეხები საკითხს იმ გასაცვიფრებელ მოგების შესახებ, რომელსაც დღეს კაპიტალისტები და ბანკირები ღებულობენ თავის საწარმოოდან.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ქრთამის მიუცემლათ მცხოვრებს არ შეუძლია მიიღოს პური, იყიდოს კართოფილი, ან შაქარი. მარა მთავრობას ყველაფერი ეს არ ყოფნის და მოკავშირე ბანკირებზე ყიდის კიდევ ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ დამოუკიდებლობას, ურალის, კომბირისა და კავკასიის დაუშრეტელ სიმდიდრეს!

ბატონებო! როცა მთავრობის წარმომადგენელი ყიდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩვენ გვყიდიან, გვალატობენ. (ხმებია მარცხნიდან: მართალია, სწორია!) თქვენ იცით, რა ამბები ხდებოდა ომის განმავლობაში. თქვენ გაიგონებდით მისსოცდოვის, ივანოვის გვარს და სხვა. მარა, რასაკვირველია, არ დაასახელეს ყველა, და, თუ გინდ დიდი სურვილიც ქონებოდათ, მაინც ვერ დასახელებდნენ. მარა არ დაივიწყოთ, რომ ეს ერთი ზოდი-კი არ არის. ეს მთელი რიგია, რომელსაც მისდევს არა მარტო ერთი რომელიმე პიროვნება, არამედ მთელი სისტემა, მთელი რეჟიმი. თქვენ მოგისურვებიათ, რომ ეს თანდაყოლილი სენი — მექრთამობა ამ კანონპროექტის სახით, მაღამოს მოცხებით მოაჩინოთ, განკურნოთ. მე არა მგონია, რომ თქვენ გწამდეთ თქვენი საკანონმდებლო შემოქმედების სასწაულ მოქმედება, ბევრი თქვენგანი ხო ყოფილი, ან ნამდვილი მოხელე — კამერგერები, კამერ იუნკრები, გოფმეისტრები, შტალ-მეისტრებია ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, რომ ვამბობ ნემეცურათ, მარა რუსულათ რომ გადამოვთარგმნათ, მაშინ არაპარლამენტარულ გამოთქმებს მივიღებთ. (სიცილი). და თქვენ, ყოფილმა და ნამდვილმა მოხელეებმა კარგათ იცით — ვიმედოვნებ, რომ პირადი გამოცდით არა, — რომ მექრთამობა — ეს არის, იურიდიულ ენაზე

რომ ვთქვათ, ისეთი ორმაგი მოქმედება, რომელიც ხდება მოწმეების დაუსწრებლათ, ულპარაკოთაც-კი, ისე უბრალო პანტონიშური საშვალეობით (საერთო სიცილია). ამიტომ უკეთეს შემთხვევაში, მთელ მექრთამე მოხელეთა შორის  $\frac{1}{10}$ -ს თუ აღმოაჩენს, დანარჩენი 99, 9<sup>0</sup>/<sub>10</sub> აღმოუჩენელი რჩებიან. მარა, ბოლოს, თუ მაინც ნახულობენ, ან იჭერენ მოხელეებს. პოულობენ მათ, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, მეისრებში და დაბალ საფეხურზე მდგომ მსახურებში. ძლიერ ძნელია ზემო სფერებში მექრთამეთა მონახვა. აიღეთ, თუ გნებავთ, სუბომლინოვის მაგალითი. სახელმწიფო ღუმე და მთელი ქვეყანა ხო მის პასუხისმგებაში მიცემას თხოულობდა. მარა, სანამ ის იდგამდებოდა პოსტზე, ვერც ვერ გაბედა თითი ეხლოთ.

როცა მოხელეს პასუხისმგებაში აძლევენ, ასამართლებენ მას ჩვეულებრივით, ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით-კი არა, არამედ დადგენილება გამოაქვს მას, ვინც ირიცხება მრავალ აქციონერულ საზოგადოებაში, რომელიც მილიონობით ღებულობს. აი, ამიტომაც ვიხულობთ ჩვენ სამსახურში ჩადენილ დანაშაულობას არჩევდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ძლიერ ცოტა იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი შესწორება მიიღოთ. როგორც სოციალისტი, მე იმ შეხედულებას ვიზიარებ, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებაში მექრთამობის მოსპობა შეუძლებელია. დღეს მისი მოსპობა — უტოპიაა. მარა ამ ბოროტების წინააღმდეგ ბძოლა, მისი სიძლიერის მინიმუმამდე დაყვანა დღესაც შესაძლებელია. სამწუხაროთ, ამისთვის თქვენ აირჩიეთ სულ სხვაგვარი საშვალეობა; ვინემ ეს მიღებულია დასავლეთ ევროპაში. რომ მოხელემ აასრულოს კანონი და გამოხატოს ის, რის მაჩვენებელიც ის უნდა იყოს, ამისთვის პირველი აუცილებელი პირობაა, რომ სამინისტრო პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი იყოს. მეორე პირობა-მოხელეებს უნდა ირჩევდეს თვით ხალხი, ან მისი წარმომადგენლები. დაბოლოს, უკანასკნელი და უმთავრესი პირობაა — რუსეთის მცხოვრები უნდა გახდეს მოქალაქეთ და არ უნდა ილაპარაკოთ იმ დებემის ენით, სადაც ნათ-

ქვამია: „გვსაღმებთან თქვენ მოკავშირე სახელმწიფოთა მოქალაქენი და თქვენი უდიდებულესობის მართლ ქვეშევრდომნიო“.

ეს, ბატონებო, ის სიტყვებია, რომელიც დეპუტატთა სახელმწიფო დუმის თავჯდომარემ ბანკეტადან გაუგზავნა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის 25 წლის არსებობის შესრულების გამო. დუმის თავჯდომარემ ვერ გაბედა, ვერ ივაშაკა და ბანკეტზე მყოფ რუსებს რუსეთის მოქალაქეები ვერ უწოდა.

ზამისდაფსკი (ადგალიდან) — „ქვეშევრდომნი“ გამოვრიცხოთ?

დღეს აქ ილაპარაკეს სახელმწიფო დუმის ათი წლის არსებობის გამო. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ის საკანონმდებლო მუშაობას ეწევა. მარა მაინც დღეს ისეთი სახ. დუმა გვაქვს, რომ დღემდე მძიმე და კრიტიკულ მომენტში ქვეყნისთვის ასეთ კანონპროექტს ადგენს. თავის თვალსაზრისით მარკოვ მეორე გუშინ მართალი იყო, როცა თქვა, რომ დუმის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავი დღესასწაული 3 ივნისის დღისთვის გადაედო. მართლაც და, როგორი დაცინვაა ისტორიისა, რომ ამ დაუსრულებელ დაწესებულებაშიც-კი მარკოვ მეორე ზის, ზის მათი წყალობით, ვინც შორეულ ციმბირში არიან მომწყვდეულნი. ხალხი, რომელმაც თვის თავი შესწირა რუსეთის თავისუფლებას, დუმის გარეთ, ციმბირში იმყოფებიან. ისინი უფლებონი, დასახიჩრებულნი არიან და აქ კისხვები სხედან. მარა ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, ხალხი, რომელმაც რუსეთში შექნა საკანონმდებლო დაწესებულებანი, ის ხელახლა კიდევ მოიპოვებს თავის შესაფერს და თვის „ღირსების დამცველ საკანონმდებლო პარლამენტს. აქ ილაპარაკებდნენ იმ დეპუტატების შესახებ, რომელნიც სახ. დუმის თავჯდომარეს მიუღია. ასეთივე დეპუტატ სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამაც მიიღო.

თავჯდომარე. უმორჩილესათა გთხოვთ საკითხს დაუბრუნდეთ.

ჩხენკელი. ეს დეპუტატი სულ სხვა ხასიათის არი.

თავჯდომარე. გთხოვთ დემორჩილოთ თავჯდომარის განკარგულებას. მე არ მაქვს უფლება საკითხს გარეშე ვალაპარაკოთ.

ჩხენკელი. ეს საკითხს ეხება. მე ვამბობ იმ სახელმწიფო დუმაზე, რომელიც ქვეყანას ასეთი კანონპროექტებით უმასპინძლდება.

თავჯდომარე. მესამეჯერ გთხოვთ უმორჩილესათ, დემორჩილოთ თავჯდომარის განკარგულებას. მე ვერ შევძლებ დაგაჯეროთ თქვენ, რომ თქვენი სიტყვები განსახილველ კანონპროექტს არ ეკუთვნის და ამიტომ გთხოვთ, თავჯდომარის განკარგულებას დემორჩილოთ.

ჩხენკელი. ერთერთ დეპუტატი, რომლებიც ფრაქციამ მიიღო, ნათქვამია: „აღნიშნავთ რა სახ. დუმის ისტორიული გახსნის ათი წლის თავს, ყველა ერების მშრომელ ხალხის ინტერესების დამცველ, სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას მხურვალე სალამს ვუგზავნით. გვწამს, ახლო მოწავალში თავისუფლების, ძმობა-ერთობის დღესასწაული“.

აი, ამ რწმენით, რომელიც გვადევნებს და რომელსაც გვიმაგრებს ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ერთი მხრით, რუსეთის პროლეტარიატი და, მეორე მხრით, ინტერნაციონალი, ამ რწმენით ვტოვებ მე ტრიბუნას. (ტაში მარცხნიდან).

**ძველი გზით, იმავ თემამზე...**

ამასწინათ მომრიგებელ სასამართლოში ორი გლეხის საქმე ირჩეოდა. ერთი მათგანი უჩივოდა: „მაგის ადგილში ჩემი ქურება და არ მადღევსო... მეორემ, მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ანებებდა — უპასუხა: ბატონო, საჩივარი მაგას-კი არა, მე მაქვს. ამდონი ხანია, მაგის ქურები ჩემს ადგილშია და აღარ მიაქვს, ადგილს მიცდენსო...“

ასე ემართებათ დიდათ პატივცემულ „აზრი“-ს რედაქციას და ჩვენ მუშა კორესპონდენტებსაც. მართლაც, მოწინავე მუშები, კაი ხანია, უსაყვედურებენ „აზრი“-ს რედაქციას კარ ჩაკეტილობას: „წერილებს ვწერთ, ვაგზავნით. მარა არ გვიბეჭდავენ. რედაქციაში გამეფებული, ვიწრო ჯგუფის



უკანტროლო დიკტატორთაგან შექნილი კარ ჩაკეტილობა გვაშორებს რედაქციას, ახლო იქ თანამშრომლობასა და სხვა...

მეორე მხრივ, რედაქციაც, ბ.ნ დათიაშვილის პირით, მოწინავე მუშა კორესპონდენტებს უსაყვედრებს („თ. აზრი“ № 78): „მოწინავე მუშები გულგრილობამ შეიპყრო, ყოველდღიურ ჭირ-ვარამის წერას გადაეჩვიენ“ (თუ გადააჩვიეს? L) „მუშათა ცხოვრებიდან აღარაფერს გვწერენო“ და სხვა...

ერთი სიტყვით, ძველი გზით სიარული, იმავე თემაზე, საყვედრი... მოდი და გამოიცანი, რომელი მათგანია მართალი... ჩვენი ფიქრით-კი, ფაქტი ორივე მხრივ, რამდენიმეთ მაინც სისწორით არის აღნიშნული. გამოსაცნობია მხოლოდ: კვერცხი უმალ გაჩდა, თუ ქათამი? ე. ი., მუშა კორესპონდენტების „გულგრილობა უმალ წარმოიშვა, თუ რედაქციის ვიწრო ჯგუფის დიკტატურა-კარჩაკეტილობა?

ვინც საქმესთან ახლო დგას და ვიწრო სექტანტიზმით არ არი გაუდენთილი, — მისთვის ცხადია, ამ მხრივ, ჩვენი რედაქციის საქმე ვერც ვას თავის სიმაღლეზე ემორჩილება, საერთოთ, არა იმ ფართო მუშათა მასის ნება-სურვილებს, რომელთაც ორგანო ეკუთვნის და დგას არა მათსავე ფართო კანტროლის ქვეშ, — არამედ მისი სრული მართველ-პატრონია ორი სამი პიროვნება... აქ იწყება ყველაფერი და აქვე თავდება ისტორიაც... ასეთ პირობებში, ცხადია, მათი ხელმძღვანელობაც ლიუდოვიკისებურია: „L, étate, est moi...“ ამიტო ჩვენს რედაქციას დიდი დეფექტებიც აქვს... თუმცა უნაკლულო ვინაა?

მარა მთავარი უბედურობა ისაა, რომ ამ დეფექტებზე რაიმეს თქმა მიუტევებელ ცოდვათ, — „მოლაღატობათაა“ გამოცხადებული ღ საქმის მოწესრიგებასაც სწორეთ ეს ამქელებს... რის გამოც, სარედაქციო გოდორში გადადის, არა მარტო მუშა კორესპონდენტების წერილები, — არამედ ხშირათ ცნობილ ლიტერატორ-პუბლიცისტ-ინტელიგენტებისაც... ამის საბუთები აუარებელია, რაც „რვა მუშამაც“ აღნიშნა თავის წერილებში 1914 წ.

ამგვართ, მუშა კორესპონდენტებსა და

სხვებს შორის, ერთგვარი ბოიკოტიზმი (და არა „გულგრილობა“) წარმოშვა, რედაქციისადმი, არა „ხანგძლივმა რეაქციამ“, — როგორც ამას ამბობს ბ.ნი დათიაშვილი, — არამედ ხანგძლივმა დიკტატურამ, რომელსაც დღესაც განაგებობენ...

ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ რამდენიმე ქართველი, მუშა კორესპონდენტი, მისთვის გაუგებარ, სომხურ მუშათა გაზეთ, „პაიკარი“ აგზავნის კორესპონდენტებს, დასაბუქდათ, იმ დროს, როდესაც „აზრთან“ არაფეთარი ასეთი დამოკიდებულება არ აქვო... ყოველივე ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ ენერგია აქვთ, მარა არ აქვთ ისეთი ორგანო, სადაც ამ ენერგიის გადატანა შეეძლოთ დაუბრკოლებლათ. ვხა აქვთ დახშული... მართალია, ეს ყველაზე არ ითქმის, ზოგის წერილებს სიამოვნებითაც ბეჭდავენ. მარა ეს „ზოგნი“ არიან, ე. წ., „ქვეშევრდომთა“ ის მცირე რიცხოვან „გამგონეთა“ ჯგუფი, რომლებსაც რედაქტორთან ერთი გამოლაპარაკებაც-კი ორ ქცევა მიწას ურჩევენიათ და ყველაფერზე მორჩილებას უცხადებენ...

სულ წინააღმდეგ პირობებში იმყოფებიან „ინოროდც“ „ურჩი“, მოწინავე მუშები, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა და გონივრული კრიტიკის ქვეშ ატარებენ ყოველ საგანს... ესენი კანონის გარეშე არიან გამოცხადებულნი... და „გულგრილობის“ მიზეზიც სწორეთ აქიდან გამომდინარობს. ნურავინ დაეიფარებთ თვალეებზე ხელოს... გულწრფელი და ამხანაგური კრიტიკა ცოდვათ არავის უნდა ეწერებოდეს, რათგან „აზრთა შეჯახებიდან წარმოიშობის ქეშმარიტება.“ ამიტო პირველ ყოვლისა, როდესაც მუშათა ორგანოს გასაუმჯობესებლათ, მის დეფექტებზე საყურათღებო საკითხს წამოაყებენ პრესაში, იმას-კი არ უნდა „გამტკიცებდეთ“, თუ იმ საკითხის წამომყენებელი, პეტრე, ან ივანე, როგორი პიროვნებაა, — არამედ ღვით აღძრულ საკითხს, მის ღირსება-ნაკლუდეანებას შევეხოთ და გამოვინახოთ ამა, თუ იმ მოვლინების ნამდვილი მიზეზები და მას შესაფერი პასუხიც მოეძებნოს...

საერთოთ-კი, საქიროა არა უსაფუძვლო საყვედურები, თითქოს „ქალაქის მუშებისთვის წერა-კითხვის მხრივ, წინ გავსწროს სოფლის მუშებს“, რაც ჯერ არსად მომხდარა, და სხვა... — არამედ სრულ უფლებიანობა, — ცვლილება შიგნით, თვით ორგანოს რედაქციის სისტემაში და მისი სასურველ ნიადაგზე დაყე

ნება, რის შემდეგაც ყველაფერი წესრიგზე მო-  
ეწყობა და „უენერგია“ და „გულგრილი“  
მუშა კორესპონდენტებიც აღარ გვეყოლება....

თუ როგორი უნდა იყვეს ეს სასურველი ნია-  
დაგი--ამის პროექტი უკვე წარმოგვიდგინა „რვა  
მუშამ“, რომელსაც მკირე რამე, ჩვენც დავუ-  
მატებდით, შემდეგ, და ასე ყველაფერი თავის  
ადგილას მოეწყობოდა...

მასწ. L.

P. S. 1914 წ., დაახლოებით ასეთი შინ-  
აარსის წერილი გავგზანე დასაბჭდათ გაზ.  
„აზრის“ რედაქციაში, რომელიც აი დაბეჭდეს.  
ამის შემდეგ, ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნდა ამ წე-  
რილის დასახელებულ რედაქციაში გავგზანა...

მ. L.

### რას ნიშნავს ეს?

ვინმე „რაჭველი ლასი“ თავის ცილს  
წამებაზე, რომელიც დამდვა მე მან გაზეთის  
„ჩენი მეგობრის“ ფურცლებზე, ამ წლის 27  
ნუმერში და მის შესახებ თამამათაც თხოუ-  
ლობდა ჩემგან პასუხსაც, მე შევუსრულე  
მას სურვილი და... გავგზანე აღნიშნული გაზე-  
თის რედაქციაში წერილი, აპოლის პირველ  
რიცხვებში და, ვითხოვე, მისი დაბეჭდა. მარა  
აქამდე ჩემი პასუხი არაა ჩანს. არ ინება მისმა  
რედაქტორმა ჩემი პასუხის დაბეჭდა, თუმცა  
მრავალ გზის მივმართე მას კიდევ თხოვნით,  
ზოგიერთი პირების საშუალებითაც კი-გამოექ-  
ვეყნებოდა ჩემი პასუხი. მარა ამოთ დარჩა  
ჩემი ცთა.

არამქონდა აქამდე წარმოდგენილი, თუ  
კაცი ასე დაიჩაგრებოდა საქვეყნო-საზოგადო-  
ების წინაშე, ბეჭდითი სიტყვის გულწრფელ  
წარმოდგენილისგან. მგონია, სათათრეთშიაც არ  
მოხდეს ასეთი ჩაგვრა უდანაშაულო ადამი-  
ანისა.

ახლა ამ დაგვიანებულზე, პატივისცემით  
მივმართავ ჟურნალ „ცხოვრების“ რედაქტორს  
და, ვთხოვ, სიმართლის აღსადგენათ დამიბეჭ-  
დოს პასუხი, რომელიც მომთხოვა „რაჭველმა  
ლასმა.“ ბ-ნი „რაჭველი ლასი“ მეკითხება: რის-  
ვის არ მივაქციე მე ყურათღება ფარახეთის  
ეკლესიის ღვდლის, მამა სალუქაძის თხოვნას  
და არ მივეცი მე მას ნება, საბუთების ქარ-  
თულათ წარმოებისა, როდესაც მას არ შეუძ-  
ლია რუსულათ აწარმოოს იგი.

ამის შესახებ მაქვს პატივი ვაუწყო აღნი-  
შნულ კორესპონდენტს შემდეგი:

1-ათ, ტირილით შემოჩვილა თქვენდამი  
ღვდლის, მამა სალუქაძისა, უკეთუ მართლაც  
მოხდა, ასეთი რამე, არი ფარისევლური და  
ყოველი მხრით შეუწყნარებელი. იმიტო, რო-  
მე მისი თხოვნა ეპარქიის მთავრობის წინაშე,  
ქართულათ საბუთების წარმოებაზე ნების მი-  
ცემის შესახებ-ჯერაც არ მანახავს და არც  
არაფერი განკარგულება მისგამო საეპარქიო  
კანცელარიიდან არ მიმიღია. შეიძლება, მამა  
სალუქაძეს ხელში აქვს იგი, ან კანცელარია-  
შიაც დარჩა,.. უნდა ყოველი მიზეზის გარეშე,  
ეცადოს, თქვენი დახმარებით, „დაევალოს“,  
მონახოს, წარმოადგინოს მან იგი. მაშინ დამ-  
ტკიცდება წინააღმდეგობა ჩემი მთავრობის გა-  
ნკარგულებაზე, რომლისთვისაც მე მივეცემი  
სასჯელსაც და განკიცხვასაც.

2-ეთ, როდესაც მამა სალუქაძე ფარახე-  
თის ეკლესიაზე იქნა გადმოყვანილი ღვდლათ,  
სადაც საბუთების წარმოება დაწყებული იყო  
რუსულ ენაზე, მე, რაკი არ ვიცოდი მისი მა-  
შინდელი პრიჩეტნიკი, ონისიმე ლომთაძე შე-  
იძლება, თუ არა გაგძელებას საბუთების რუ-  
სულათ წარმოებას, მოხსენებით 29 მაისიდან,  
1909 წლისა, № 109, ვთხოვე ეპარქიის  
მთავრობას საქმის გარკვევა თუ რაფერ მოქცე-  
ულვიყავ ამ საქმეში. ყოვლათ უსაღვდელოების,  
იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისგან, 27 ივლი-  
სიდან, იმავე წლისა, № 2632, მე მეუწყა: „  
რაკი აწმყო კრებულს არ შეუძლია საქმის  
წარმოება რუსულათ, უნდა ეგეთი იწარმოოს  
ქართულათ, შეუძლებელი არავისგან არ მოი-  
თხოვება.“ ამის შემდეგ, დავაპირე ქართულის  
საბუთების გამოწერა ფარახეთის ეკლესიისთვის.  
მარა აღნიშნულმა ზემორე პრიჩეტნიკმა ლომ-  
თაძემ განაცხადა, რომ მას შეუძლია კარგათ  
საბუთების კეთება რუსულათ, რაზედაც თან-  
ხმობა განაცხადა მამა სალუქაძემაც, რაკი კა-  
რგი განწყობილობა და ნდობა ქონდა იმ  
პრიჩეტნიკთან. მეც, ჩემი მხრით, ველო  
წინააღმდეგე მათ სურვილს და განაცხადებას,  
მით უმეტეს, რომ უქაზში სინოდის კანტორი-  
სა, 10 ნოემბრიდან 1892 წლისა, № 15042,  
სხვა და სხვა მოსაზრების და განკარგულების  
შემდეგ, წერია ესეც: „благочинные долж-  
ны строго.. наблюдать, чтобы въ тѣхъ  
приходахъ, причты-коихъ начать писать  
метрики и исповѣдныя росписи на русс-  
комъ языкѣ, веденіе этихъ документовъ

на томъ же языкѣ продолжалось не измѣнно и на будущее время, несмотря на могущія послѣдовать перемѣны въ составѣ причта.“

მეც რა უნდა მექანა? კრებულის წევრმა პრიჩეტნიკმა ლომთაძემ-შეძლო საბუთების წარმოების გაგძელება, მას თანახმა ვაუბთა ღვდელიც და, როგორღა გავხდებოდი მე დამარღვეველი მოტანილი უქაზის სიტყვებისა. ამას ახსნის და დაამტკიცებს პრიჩეტნიკი ლომთაძე, ოკრიბაში გადასული.

ლომთაძის შემდეგ, ფარახეთის ეკლესიაზე მივიდა პრიჩეტნიკათ დავით დემეტრაშვილი, სასულიერო სემინარიაში ნასწავლი, ადვილათ შემძლე რუსულათ საბუთების კეთებისა. მის წინააღმდეგ მამა სალუქაძეს არაფერი გაუცხადებია-ვიდრე ამ წლის მარტის შუა რიცხვებამდის. მაშინ მან სევის ეკლესიაზე მე გამიცხადა: „მას არა აქვს ნდობა და კეთილი განწყობილება პრიჩეტნიკ დემეტრაშვილთან და, ვითხოვ, ქართული საბუთების გამოწერას, იმ მოსაზრებით უმეტესათ, რომ მეშინია მისგან ღალატისა...“ მეც აღვუთქვი და კიდევაც ფარახეთის ეკლესიისთვის გამოთხოვილია საბუთები ქართულ ენაზე, მოხსენებით 28 მარტიდან ამაწლისა, № 67.

აქიდან ჩანს, რომ მე სალუქაძის გაცხადება შემიწყენარებია, თუმცა ეს მისაღებიც არ იყო, რაკი კანონით საბუთების კეთება დაკისრებული აქვთ მედავითნეებს და მათაც შეუძლიათ კეთება.

დასასრულ, დავძენ: კორესპონდენტს გულითა სურს საბუთების წარმოება ქართულ, ღვიძლ დედა ენაზე. იგი უნდა ეცადოს, აღამრვეიოს საეპარქიო დებუტატებს ამაზე საკითხი სერიოზულათ და, თუ ვინმე მათგანი არ მიემხროს მას, ისინიც ჩემთან ერთად საქვეყნოთ გააკრას სამარცხვინო ბოძზე. თორე მარტო ჩემით ბ-ნი „რაჭველი ლასი“ ვერ მიადწევს საწადელს და ვერც ვუწოდებ მას-“აფერუმ ბიჭოს“! ბლალაჩინი, დეკანოზი მიხვილ სხირტლაძე. სოფ. სხვათა. 1916 წელს, 23 მაისს.

**წამილი „სახალხო ფურცლის“ რედაქციისადმი...)**

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთში ქუთაისიდან მოთავსებულია ცნობა, რომ „ვიდაცა ლ. ბახ-

\*) „ს. ფურ.“ პატივცემულმა რედაქციამ ამ წერილის დასტამბვა არ ინება.

ტაძის ინსინუაციებით სავსე წერილის გამოილია ქავკავაძისადმი, ჟურ. „ცხოვრების“ მკორე რიცხოვანი ხელის მომწერთა უმეტესობას უკანვე დაებრუნებოთ წარწერით, რომ იგინი კითხვის ღირსათ არ ცნობენ ასეთ ორგანოს“, მეტი რომ არა ვთქვათ, სიმართლეს მოკლებულია.

ჟურნალი, ხელის მომწერთა უმეტესობამ, კი არა, მხოლოთ ერთმა ადამიანმა, თ. კიტა აბაშიძემ დაგვიბრუნა უკან. მე ამისგან, ცნობილ მწერლისგან მივიკრს ასეთი საქციელი. თორე, რა უნდა მოვკითხო ლიტერატურაში სრულიათ უწვრთნელს მთავრივეს, რომელიც საჯაროთ ეწევა პრაპაგანდას ჟურნალ „ცხოვრების“ წინააღმდეგ... სამაგიეროთ, ამ ერთ თვეში ხომ 68 ახალი ხელის მომწერი შეგვეძინა. ჩვენ მიხეც ამით თავი არ მოგვაქვს. ეს რა საზომია ორგანოს ღირსება-ნაკლულოვანების შეფასებისთვის. ალბათ, ეს ფუტურისების უკანასკნელი ფილასოფიაა.

არას დროს ამდენი ხელის მომწერი ჟურ. „ცხოვრებას“ არ ყოლია. სწორეთ შარშან ამდროს, ჟურნალს ყავდა ხელის მომწერი 318 კაცი. დღეს კი ხუთასზე მეტია. და ეს სულ ურეკლამოთ და უგანგაშოთ...

ახლა თქვენც გულწრფელათ დამეთანხმებით, ბატონო რედაქტორო, რომ თქვენს რეპარტიორს ნამეტანი ნახტომი მოსვლია...

მეორე ცნობა, რომ იმერეთის საღვდლოება, „რომანოზ ფანცხავას ჯამაგირს 100 მანათს აძლევს თეიურათო“, გადაქარბებს ხო კოდელი ნინოს მკითხაობასაც. მარა ამაზე განაღირს ლაპარაკი?!

ეს თქვენი „მწერელი კაცი“, როგორც ვატყობ, დიდი მოკლილი ვინმე უნდა ბძანდებოდეს და კარგი იქნებოდა, ამ უკაცობის დროს, სოფლათ თოხით გაისტუმრებდეთ, რომ გაჭივრებულს ოჯახს სათოხარში მიანმარდეთ.

მოკლილი რომ არ იყოს, რედაქციაში შამობძანდებოდა, სინამდვილე შეეტყო და, მართლაც, „ინსინუაციები“ და ქორები არ ეკრიფა „გულუარდის“ თავზე, ზიარელი კარაპეტას, მთავრივეის დუქან-ბაზარში.

დავრჩები თქვენი დრმათ პატივის მცემელი რომანოზ ფანცხავა.

რედაქტორ გამომცემელი რომანოზ ფანცხავა



# 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იშვრისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წელიწადი  
მართება

## „თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოსვლისა მართება

1916 წელსაც გამოვა

წლიურად  
5 მან.  
ნახ. წლ.  
3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით — 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 მ. მაისში — 2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მდათოვის კუნძ. №1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлитъ. ред. „Театри да Цховреба“ — Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ამიერიდან კ. ჭუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

# „სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი — 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

ვთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ჭუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. წინცაძე.